ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 მარტი, 2023 №53 (9089) ფასი: 80 თეთრი

საპატრიარქო: „აქციაზე სასულიერო პირი თვითნებურად მოქმედებდა საეკლესიო კანონიკის დარღვევით“

გვ.5

გვ.5

ბათუმის ბულვარში ბატუტის გადაბრუნების შედეგად 9 წლის ბავშვის დალუპვის საქმეზე დაკავებულს პატიმრობა შეეფარდა

„კობახიძემ აღიარა, რომ ივანიშვილი არსად არ წასულა და ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „ალტ ინფომ“ დროშა რომ დაწვა, რატომ არ იმჩნევს „ქართული ოცნება“?! ეს სახელმწიფო ინსტიტუტზე შტურმის მიტანაა“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „რთული დღეები უდგას „ქართულ ოცნებას“. ეს პროცესი სიურპრიზების გარეშე ვერ ჩაივლის“

„ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა შეცდომაა. რის იმედი აქვს ოპოზიციას?“

გვ.2

ძამუკა მდინარაძე: „ბნელი სისტემის შემქმნელი ე.წ. პრეზიდენტის კუჭზე საქართველოს ევროპული მომავალი ვერ გავა“

სერგო ჩიხლაძე: „ევროპარლამენტარები ნათლად ხედავენ, რომ საქართველოს მოსახლეობა არის ევროპისკენ, ხოლო „ქართული ოცნება“ — რუსეთისკენ“

გვ.3

გვ.3

არჩილ თალაკვაძე: „ის, რასაც რადიკალური ოპოზიცია აკეთებს, თანამედროვე ფაშიზმია“

რუსეთი დაშლის წინაშე დგას

გვ.4

„ჩვენი მიზანია, ხალხს სუბიექტურობა მივცეთ. მოუნდებათ თუ არა ადამიანებს რუსეთისგან გამოყოფა, ეს უკვე მათი საქმეა“

გვ.4

დედა სიდონია: „საპატრიარქო გეგმავს, დაიბაროს ან დასაჯოს სასულიერო პირები, რომლებიც აქციაზე ახალგაზრდობას შევუერთდით...“

გვ.5

20 მარტიდან A კატეგორიის ტაქსის ნებართვების ძველი სისტემით გაცემა შეწყდება

გვ.6

გიორგი კეკელიძე მარო მაუაშვილის სტიპენდიის დაწესების გამო გააკრიტიკეს

გვ.5

შიშველი ქალი უცნობის სახლში შეიჭრა და მასპინძელს ტაფით სცემა

3 გიგა ბოკერია: „ვერცერთი კანონი პუტინისტური სულისკვეთების რეჟიმის ბუნებას ვერ შეცვლის“

4 თებერვალში რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 754%-ით გაიზარდა

5 მამაკაცმა ლატარიაში მილიონი მოიგო და ბილეთი დაკარგა

6 რა საფრთხეს უქადის უკრაინას „ჩინური სამშვიდობო გეგმა“?

1993230720223

„კობახიძემ აღიარა, რომ ივანიშვილი ერთ-ერთ არ წასულა და ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ალტ ინფომ“ დროშა რომ დაწვა, რატომ არ იმჩნევს „ქართული ოცნება“?! ეს სახელმწიფო ინსტიტუტზე შტურმის მიტანაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ევროპარლამენტარებმა საქართველოს საკითხზე დებატები გამართეს. გზავნილი დაახლოებით ასეთია: ქართველი ხალხი იმსახურებს ევროკავშირის სტატუსს, ხელისუფლება კი არაო. როგორია თქვენი შეფასებები? იმ მოვლენების ფონზე, რომლებიც გასულ კვირას განვითარდა, რას უნდა ველოდოთ?

– რა თქმა უნდა, ევროკავშირის მხარდაჭერა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და პრინციპული. 7, 8, 9 მარტის მოვლენებმა მკაფიოდ გამოკვეთეს, რომ საქართველოში ყველაზე უფრო მობილიზებული, ყველაზე უფრო მოტივირებული, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მშვიდობიანი ძალა არის ის, რომელსაც უნდა დემოკრატია, თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა, რაც ჯამში არის დღევანდელი ევროკავშირის ღირებულებები, ხოლო გუშინდელმა აქციამ...

– „ალტ ინფოს“ აქციას გულისხმობთ? რა აჩვენა?

– დიახ. „ალტ ინფოს“ აქციამ აჩვენა, ეს ხალხი რამდენად მცირერიცხოვანი ჯგუფია, აშკარად რეაქციულები, ანუ, რომ არ ყოფილიყო 7, 8, 9 მარტი, ისინი არ გამოვიდოდნენ. მათ ჰქონდათ რეაგირება რეაქციული ფორმით და, შესაბამისად, იყვნენ სულ მამაკაცები, მაშინ როცა 7, 8, 9 მარტის გმირები მხოლოდ ქალები იყვნენ, ახალგაზრდები, ახალგაზრდა ქალები, ანუ რამხელა ცივილიზაციური განსხვავებაა. ეს არის ეპოქალური განსხვავება. სულ სხვა სამყაროში ვართ ჩვენ და სულ სხვა სამყაროში არიან ჩარჩენილი ის „კუნთმაგარი“ მამაკაცები, რომლებსაც, გარდა ძალადობისა, თავში არაფერი არა აქვთ. კარგად ეტყობათ, ვინც არიან და რასაც წარმოადგენენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ დაწვა და განადგურება, ხოლო ამ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს შეუძლიათ დაცვა.

– რატომ არ ჰქონდათ სამართალდამცავებს რეაგირება იმ ყველაფერზე, რაც „ალტ ინფომ“ პარლამენტთან ჩაიდინა?

– თვალშისაცემი იყო შემდეგი: სახელმწიფო მანქანა ებრძოდა და წყლის ჭავლსა და გაზს მიმართავდა მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებსაც ხელები ჰქონდათ აწეული. მათ ამ დროშას ართმევდნენ წყლის ჭავლით. ერთ შემთხვევაში, როცა იცავდნენ დროშას, ათში ართმევდნენ ამ დროშას, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა წვავენ დროშას, მათ ხელს არ უშლიან. თუნდაც ერთი ბოთლი წყალი დაესხათ პოლიციელებს ამ დროშაზე. ეს არ გაუკეთებიათ, ანუ აშკარად ჩანს, რომელ მხარეს დგას სახელმწიფო მმართველობა. ის არის ევროკავშირის წინააღმდეგ და ებრძვის მას. ორი ძალიან თვალშისაცემი სურათი იყო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ევროკავშირის გუშინდელი სხდომის პოზიციები. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველომ არ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი, ჩვენ, ევროკავშირი ვხედავთ, რომ ქართველ ხალხს უნდა ევროკავშირის სტატუსი. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მივცეთ. აი, ეს გზავნილები მოვისმინე გუშინ. სწორედ ამიტომაა ასე გასასტიკებული „ქართული ოცნება“. ალბათ გახსოვთ, როგორც კი მოგვცეს 12-პუნქტიანი დავალება შესასრულებლად, თქვენი გაზეთი იყო პირველი, სადაც ვთქვი, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ არ შეასრულოს და არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი.

– მართალი აღმოჩნდით.

– სამწუხაროდ, ასეა. „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენ არ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი.

– გუშინ კიდევ ერთი ტყუილი გვითხრეს, დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტზე ვენეციის კომისიამ დადებითი დასკვნა დადოო. არადა, დასკვნაში საწინააღმდეგო წერია. თვალში ნაცარს გვაყრიან?

– რა თქმა უნდა, თანაც ეს ხომ არ არის პირველი! თვალში ნაცარს მე და თქვენ კი არა, იმ ხალხს გვაყრიან, ვისაც დემოკრატია გვინდა და გვინდა ევროპული ღირებულებები. თვალში ნაცარს აყრიან იმ ხალხს, ვისი იმედიც აქვთ, რომ არჩევნებში ხმას მისცემენ მათ. ახლა მიმდინარეობს გამალებული წინასაარჩევნო კამპანია და მათი მთავარი ამოცანაა, გადაარჩინონ თავიანთი ამომრჩეველი. მათ რომ ამომრჩეველი აღარ შეემატებათ, ეს ფაქტია. ჩვენ საბოლოო შედეგები გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც უნიკალური იყო და ოპოზიციამ ეს გაატარა, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ ეს დაიმახსოვრა. „ოცნება“ დამარცხდა, მაგრამ ოპოზიციამ ეს ვერ შეიფერა და შეარჩინა „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება. „ოცნებამ“ ზუსტად იცის, რომ იმ ხმებს, რომლებიც მან მიიღო ადგილობრივი არჩევნების დროს, ვეღარ მიიღებს. ამ ფონზე მას სჭირდება იმ ხმების დაცვა, რომლებიც აქვს. იმიტომაა, ვენეციის კომისიის დასკვნა იქნება თუ ნებისმიერი მათი სხვა აქტიურობა, როგორმე გადაარჩინოს თავისი ხმები.

– რამდენად გამოუვათ?

– რადგან ხედავენ, რომ ეს საკმარისი არაა, ანუ არაა შანსი, რომ მათ დამაჯერებლად გაიმარჯვონ, ჰყავდეთ კვალიფიკაციური უმრავლესობა პარლამენტში, ამისთვის მათ აუცილებლად მოუწევთ გაყალბება, თან საკმაოდ სერიოზულად. ამიტომ მათ არ სჭირდებათ ზედმეტი თვალი იმ ხალხისა, ვინც არ აპირებს პოლიტიკაში მოსვლას, მაგრამ, მათი სურვილია, იცხოვრონ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ეს არის ვინ? სამოქალაქო საზოგადოება! სწორედ სამოქალაქო საზოგადოებას გამოუცხადეს ომი ამ კანონით. ირაკლი კობახიძეს იმდენად მოსწონს თავისი თავი და იმდენად ნარცისია, რომ ყოველთვის უნდა დაასწროს მოვლენებს და წამოაყრანტალოს ის, რაც, ჯობია, რომ არ თქვას. მან თქვა სწორედ, არ გვჭირდება, ვიღაცებმა პარალელური დაცვა განახორციელონ არჩევნებშიო. შესაბამისად, ეს არის ძალიან თვალშისაცემი ფაქტი, რომ ისინი ებრძვიან სამოქალაქო სექტორს, იმათ, ვინც აპირებს, რომ გააკონტროლოს ხელისუფლება. მათ არათუ კონკურენტები აღარ სჭირდებათ ოპოზიციის სახით, მაკონტროლებელიც აღარ სჭირდებათ სამოქალაქო საზოგადოების სახით.

– ხელისუფლებამ ეს რაუნდი წააგო. რას ფიქრობთ, დაიხევს უკან?

– არავითარ შემთხვევაში! შეტევაზე გადმოვლენ. გუშინდელი დროშის დაწვის ფაქტი ამის ნათელი მაგალითი იყო. შეუძლებელია, რომ ის არ ყოფილიყო ხელისუფლებისგან ხელდასხმული და ნაკურთხი. ძალიან ცოტა პოლიციელი იდგა პარლამენტთან, მაშინ როცა მთელი მსვლელობა ჰქონდათ, სანამ იქამდე მივიდოდნენ. სოცქსელებით ვრცელდებოდა ამ აგრესიული მამაკაცების ინფორმაცია და ფოტოები, ეს ფაშისტები როგორ მოდიოდნენ პარლამენტისაკენ. იქ დახვდათ 2-3 პოლიციელი. ძალიან მარტივად მიუშვეს დროშასთან და უკვე მესამედ ჩამოახსნევინეს. ეს არ იყო დროშა, რომელიც მათ მოიტანეს სახლიდან ან იყიდეს გზაზე და დაწვეს. ეს იყო დროშა, რომელიც მათ ჩამოხსნეს პარლამენტის შენობიდან. ეს არის შეტევა სახელმწიფო ინსტიტუტზე! როცა შენ სახელმწიფო დაწესებულებიდან ხსნი დროშას, ეს არ არის დროშის დაწვა, ეს არის შეტევა სახელმწიფო ინსტიტუტებზე. ხელისუფლება ამას არ იმჩნევს, ვითომ, უბრალოდ, დროშა დაწვეს, არა, ასე არ არის. მათ განახორციელეს შეტევა სახელმწიფო ინსტიტუტზე და ამისთვის უნდა დაისაჯონ არა როგორც დროშის დამწველები და ისევ ვიღაც გადაუხდის 1.000-1.000 ლარს ამ გაუბედურებულებს და ჯიბეგაფხეკილებს, არამედ უნდა დაისაჯონ სახელმწიფო ინსტიტუტზე მიტანილი შეტევისთვის! ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს „ქართული ოცნება“ ხელს უწყობს ფაშისტური ორგანიზაციების არსებობას.

– ბატონო პაატა, ამ მარცხის შემდეგ როგორი იქნება ბიძინა ივანიშვილის ნაბიჯები? ვისმენთ შეფასებებს ვადამდელ არჩევნებზე, უმრავლესობის დაშლასა და პრემიერის ცვლილებაზე. უამრავი ვერსია ვრცელდება. თქვენ რას იტყვით?

– ჯერჯერობით გამორიცხული არაფერია, მაგრამ მათი მთავარი ამოცანაა, თავი დაიცვან. ამისთვის თუ მთავრობის შეცვლა იქნება საჭირო, ამ ცვლილებებსაც განახორციელებენ, მაგრამ ჯერ არ სჭირდებათ. ხომ ვნახეთ, ვიქტორ ყიფიანის განცხადებაზე რა ამბავი ატეხეს. აშკარად ჩანს, რომ ამ ადამიანს არ მოეწონა ის, რაც მოხდა და გააკრიტიკა ხელისუფლება, თავის მომავალზე ფიქრობს, ახალგაზრდაა. ყველაზე გვიან ვინც მუშაობდა ბიძინა ივანიშვილთან, ალბათ არის სწორედ ყიფიანი. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ამ კაცთან საერთო გზა ვერ ექნება, როგორც თავის დროზე მიხვდნენ თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები, გახარია, რა ვიცი, სულ ცალცალკე გამოდიოდნენ ჯგუფები უმრავლესობიდან. უამრავი ხალხი გამოდიოდა და ბოლოს კარი ყიფიანმა გამოიჯახუნა. უცებ მიიღო ხელისუფლებამ მისგან შემოლაწუნება. ძალიან საინტერესო ფაქტი მოხდა ისევ და ისევ კობახიძის ხასიათიდან გამომდინარე. ის ვერ მალავს თავის ნარცისობას, რომ რაღაცას ფლობს განსაკუთრებულს.

– რას გულისხმობთ?

– საიდან უნდა იცოდეს კობახიძემ, რიგით მოქალაქე ივანიშვილს რა ურთიერთობები აქვს თავის ადვოკატთან?!

– უცებ გამოგვიცხადეს, აღარ მუშაობს ბიძინასთანო.

– ჰოდა, საიდან იციან? თუ ბიძინა პოლიტიკაში არ არის, საიდან იცის კობახიძემ, მუშაობს თუ არა და როგორი ფორმით წამოვიდა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი ბიძინასგან? ე.ი. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაშია და კობახიძემ მიიღო მისგან დავალება, არ შეერჩინათ ადვოკატისთვის წარმატება და პარტიის თავმჯდომარემ საჯაროდ გამოაცხადა, თუ როგორ მოხდა ყიფიანისა და ივანიშვილის გაყრა. ამით კობახიძემ გაყიდა პოლიტიკა, რომ ბიძინა ივანიშვილი არსად წასული არ არის, ის არის პოლიტიკაში და მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება ქართული პოლიტიკის ნაწილია. ეს თვალშისაცემია. სამწუხაროდ, ასეთ დეტალებს ყურადღებას არ ვაქცევთ. აშკარად გამოჩნდა, რომ ივანიშვილი ჩართულია პოლიტიკაში. ის მართავს პოლიტიკას, ის კარნახობს, რა უნდა გააკეთონ. ამიტომ, შესაბამისად, მოსალოდნელია არა უკანდახევა, არა სიტუაციის გადაფასება და დათმობა, არამედ შეტევა.

მამუკა მდინარაძე: „ბნელი სისტემის შემქმნელი ე.წ. პრეზიდენტის კუჭზე საქართველოს ევროპული მომავალი ვერ გავა“

– თუ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა სააკაშვილის ჭამასა და მის კუჭზე ვართ დამოკიდებული, მაშინ ამ ქვეყანას მომავალი არ ჰქონია, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, საქართველოს ევროპული მომავალი არ შეიძლება, სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს.

– არაფერი შეიძლება იყოს იმაზე ცრუ ნარატივი, არაფერი შეიძლება იყოს იმაზე დიდი თავხედობა საქართველოს მიმართ, როგორც სააკაშვილის სპეკულაციური და თაღლითური თემის დაკავშირება საქართველოს ევროპულ მომავალთან. საქართველოს ევროპული მომავალი სააკაშვილი და მისი ქმედებები, მისი წარსული, მისი აწმყო და მისი მომავალი ვერ იქნება. სააკაშვილი ამ ქვეყნის ბნელი წარსულია. ადამიანს, უბრალოდ, შეუძლია მეტი ჭამოს და ამით მისი ე.წ. პრობლემა აღმოიფხვრება. თუ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა მის ჭამასა და მის კუჭზე ვართ დამოკიდებული, მაშინ ამ ქვეყანას მომავალი არ ჰქონია, მაგრამ ამ ქვეყანას მომავალი აქვს – ვერც სანქციას დააკისრებს ამ ქვეყანას ვერავინ, რადგან სააკაშვილი საჭმელს არ ჭამს, თავისი სახელები დავარქვათ ყველაფერს და ვერც ვერავინ დაემუქრება.

სინამდვილეში, შეიძლება იყოს ასეთი განცხადებები დაინტერესებული პირებიდან ყოველთვის, მაგრამ რეალობა სხვაა. არ შეიძლება სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი. ასეთი შთაგონებები, შეგონებები, მუქარები თუ ა.შ. არის წარმოუდგენელი, დამაზიანებელი და ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელი, ვინაიდან საქართველოს ყველა მოქალაქემ იცის, რომ ეს კაცი არის ბნელი წარსული, ეს კაცი არის იმ სისტემის შემქმნელი, რომელიც პატიმრებს აწამებდა, აუპატიურებდა, კლავდა ციხეში, ამ სისტემის შემქმნელი ე.წ. პრეზიდენტის კუჭზე საქართველოს ევროპული მომავალი ვერ გავა.

საქართველოს კანონმდებლობით, უცხო ქვეყანაში სამკურნალოდ გადაყვანა, ასეთი პრეცედენტი, ასეთი ჩანაწერი არ მოიძებნება, რომც მოიძებნებოდეს, ასეთის საფუძველი არ არის. წარმოუდგენელია, მიხეილ სააკაშვილის იმ ბნელი წარსულის, მწამებელი სისტემის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი. შეუძლია ოდნავ მეტი შეჭამოს და პრობლემა აღმოიფხვრება, ქართული კანონმდებლობა და ქართული სახელმწიფო ამ პრიმიტიულ შანტაჟს არ დაექვემდებარება, – განაცხადა მდინარაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა შეცდომაა. რის იმედი აქვს ოპოზიციას?

სოსო ცინცაძე: „რთული დღეები უდგას „ქართულ ოცნებას“. ეს პროცესი სიურპრიზების გარეშე ვერ ჩაივლის“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, თქვენი პროგნოზით, რამდენად შეიძლება, სამთავრობო ცვლილებები მოხდეს? უშვებთ თუ არა, რომ ახალ გუნდს ამზადებდეს ივანიშვილი?

– ასეთი გუნდი ივანიშვილს, უბრალოდ, არ ჰყავს. ვინ არის ახალი გუნდი?! საიდან შეიძლება, ეს ხალხი მოიყვანოს?! ასე მოწმენდილ ცაზე ხომ არ შეიძლება, გუნდის ფორმირება მოხდეს?! ამ ყველაფერს დრო, ადამიანური რესურსი უნდა. არა მგონია, სათადარიგო სკამი არსებობდეს.

– ყიფიანზე იყო ხმები, რომ თითქოს ის მოდის პრემიერის პოსტზე.

– მე არ მჯერა ამ ფანტაზიების. ასეთი დრო ნამდვილად იყო. ასე იცვლებოდნენ პრემიერები, მერე გუნდი იცვლებოდა მთლიანად, მაგრამ ახლა ეს დრო აღარ არის. ახლა სულ სხვა დროა. რასაკვირველია, პოლიტიკურ რეალობას ვგულისხმობ. იყო დრო, როდესაც ივანიშვილი თავის ახლობლებს, მის მიერ კარგად გამოცდილ, წლების განმავლობაში მასთან ნამუშევარ ხალხს ნიშნავდა. ახლა უკვე ასე ვეღარ იქნება. ალბათ ადამიანური რესურსიც ამოიწურა და, როგორც გითხარით, სულ სხვა რეალობაა.

ვიქტორ ყიფიანი რომ მოვიდეს პრემიერად, მაშინ პარტიის თავმჯდომარეც უნდა გახდეს. დღეს ღარიბაშვილი გამონაკლისია. მთელ მსოფლიოში პრემიერი პარტიის თავმჯდომარეა. არა მგონია, კობახიძე ასე გაუშვას.

– გამოდის, 2024 წლის არჩევნებზე ამ გუნდით გავა?

– დიახ, ასე მგონია, რომ სწორედ ამ გუნდით გავა, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა. სხვა გუნდი, უბრალოდ, არ გააჩნია. რომც გავიდეს ამ გუნდით, როგორ გგონიათ, ვერ გაიმარჯვებენ?! გაიმარჯვებენ! მიუხედავად არსებული განწყობებისა, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ამდენი წელი, ორ ვადაზე მეტ ხანს გაგრძელდეს დემოკრატიულ ქვეყანაში მმართველობა, მაინც გაიმარჯვებს „ოცნება“.

– რის საფუძველზე?

– მოქმედი საარჩევნო კოდექსისა და ოპოზიციაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. ამიტომ, ძალიან მიკვირს ოპოზიციის, როდესაც ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ. რის იმედი აქვთ, უბრალოდ, არ მესმის. აბსოლუტური შეცდომაა დღეს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა. პირიქით, ოპოზიციამ, თუ რამის მიღწევა უნდა, დარჩენილი ეს ერთი წელი უნდა გამოიყენოს. გადაწყობა-გადალაგება უნდა მოახერხონ, რეგიონებში უნდა გავიდნენ და ხალხთან თავიანთი სათქმელი უნდა მიიტანონ. ამ სამუშაოებს ჯერ ვერ ვხედავ. თითქოს ოპოზიცია ინერტულია, პროცესებში ვერა და ვერ ჩაება.



ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ თბილისი ხომ არ არის მთელი საქართველო. რეგიონებში რომ გახვიდეთ, ჯერ ერთი, ხალხი არ დარჩა სოფლებში, რაიონებში, ყველა წასულია საზღვარგარეთ, მეორე, ვინც დარჩა, ის თავისი პრობლემებით ცხოვრობს და საერთოდ არ ადარდებს არჩევნები. თავი რომ გაიტანონ, ამისთვის იბრძვიან, თუმცა, ისეთი ვითარებაა, რთულია პროგნოზების გაკეთება. არავინ არ მოელოდა, რომ სტუდენტობა ქუჩაში გავიდოდა და თავის სიტყვას იტყოდა. ეს ნამდვილად იყო სტუდენტების პოზიცია. მათ თქვეს თავიანთი სათქმელი.

ეს ყველაფერი იყო ექსპრომტი. არავის მიერ დაწერილი სცენარით არ განვითარებულა მოვლენები. არავინ არ იწინასწარმეტყველებდა, რომ „ოცნება“ „აგენტების შესახებ“ კანონპროექტს ჩააგდებდა და ასე განვითარდებოდა პროცესები. პოლიტიკას ექსპრომტები არ უყვარს. დალაგებული სტრატეგიისა და გეგმის მიხედვით მოქმედების ამ დღეებში არაფერი არ ეტყობოდა არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას.

– როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს? წინ სტატუსის მიღების საკითხია, მანამდე კი – 12-პუნქტიანი გეგმა, რომელიც უნდა შესრულდეს.

– მე ასე ვიტყოდი, დულილის პროცესია, დულილის როგორც საზოგადოებაში, ისე პოლიტიკურ სპექტრში. „ოცნება“ ნამდვილად ჩიხშია. ეს პროცესი ალბათ სიურპრიზების გარეშე ვერ ჩაივლის, მარტივად საპროგნოზო არ არის. ყოველ წუთს შეიძლება, მოვლენები შეიცვალოს. კი გითხარით დაბეჯითებით, რომ არც ღარიბაშვილს ემუქრება არაფერი და არც კობახიძეს, მაგრამ მაინც გამორიცხული არაფერია, რადგან ჩვენ ხომ კლასიკურ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ, სადაც ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

თქვენ 12-პუნქტიანი გეგმა ახსენეთ, თუნდაც რომ ავიღოთ „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი, რომლის ჩაგდებასაც ოპოზიცია ითხოვს, ხომ გამორიცხულია, მეორე კანონპროექტი ჩააგდოს ხელისუფლებამ. ვერანაირად ვერ ჩააგდებს. ამას გამოვრიცხავ. ეს უკვე პოლიტიკური კაპიტულაცია იქნება. ვენეციის კომისიამ თქვა, კი გადმოწერეთ უკრაინის კანონი, მაგრამ თქვენთვის არ არის, ქართულ რეალობას არ ასახავსო. რთული დღეები უდგას „ქართულ ოცნებას“. ვნახოთ, რას იზამენ, ამჯერად რა გამოსავალს მონახავენ.

სერგო ჩიხლაძე: „ევროპარლამენტარები ნათლად ხედავენ, რომ საქართველოს მოსახლეობა არის ევროპისკენ, ხოლო „ქართული ოცნება“ — რუსეთისკენ“

სამი ოპოზიციური პარტია: „სტრატეგია აღმაშენებელი“, „დროა“ და „გირჩი – მეტი თავისუფლება“ სტრასბურგში შეხვედრებს მართავს. პირველი შეხვედრა ევროპარლამენტართან და ალდეს პრეზიდენტთან ილჰან კიუჩუკთან გამართეს. როგორც ოპოზიციონერები აცხადებენ, შეხვედრის მთავარი თემა ევროინტეგრაცია და თბილისში რამდენიმე დღის წინ მომხდარი დარბევები იყო.

– ჩვენ ვმუშაობთ, რომ მივიღოთ კანდიდატის სტატუსი! შეხვედრაზე ალდეს პრეზიდენტმა ბევრიან მკაფიო მესიჯები გააჟღერა:

პირველი ის, რომ როგორც ალდე, ისე სხვა პოლიტიკური ოჯახები, ძალიან ნათლად ხედავენ, საქართველოს მოსახლეობა არის ევროპისკენ, ევროკავშირისკენ, ხოლო „ქართული ოცნება“ – რუსეთისკენ. ამაში უკვე ეჭვი არავის ეპარება!

მეორე, ალდე დააინიცირებს ევროპარლამენტარებისგან შემდგარ სპეციალურ მისიას, რომელიც ჩამოვა, ადგილზე შეისწავლის მდგომარეობას და შეხვდება პოლიტიკურ მოთამაშეებს, განსაკუთრებით ოპოზიციას.

მესამე, „ქართულ ოცნებას“ უკვე აღარავინ უწევს ანგარიშს და მხოლოდ ოპოზიციაა ის ძალა, რომელთანაც სურთ საუბარი ჩვენს ევროპელ კოლეგებს.

ოპოზიციამ უნდა აიღოს ინიციატივა ხელში ევროკავშირის ინტეგრაციასთან მიმართებით. სხვა ალტერნატივა არ არის, რადგან ყველა ხედავს, მათ შორის ევროპაში, რომ ხელისუფლება არის პრორუსული!

არჩილ თალაკვაძე: „ის, რასაც რადიკალური ოპოზიცია აკეთებს, თანამედროვე ფაშიზმია“

– როდესაც ადამიანებს ართმევ უფლებას, არ დაგეთანხმონ და ამის გამო დევნისკენ მოუწოდებ, რასაც რადიკალური ოპოზიცია აკეთებს, ეს არის ზუსტად თანამედროვე ფაშიზმი. ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ მთელი საზოგადოება, რათა ამ ადამიანებს არ მიეცეთ საშუალება, რომ პროტესტი, რომელიც იყო წინა დღეებში, თავისი ბნელი მიზნებისთვის გამოიყენონ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ განუცხადა.

როგორც არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, რადიკალური ოპოზიციის მხრიდან პროტესტის ისე წარმოჩენა, რომ საქართველოში დემოკრატია ჩიხში შევიდა და ხელისუფლება თითქოს ევროინტეგრაციის საწინააღმდეგოდ მუშაობს, არის სიცრუე და პოლიტიკური აფორა.

– პროტესტი ყოფილა ყველგან ევროპაში, ამ დღეებშიც სხვადასხვა ქვეყანაში იყო პროტესტი, შესაბამისად, ამის წარმოჩენა რადიკალური ოპოზიციის მხრიდან ისე, რომ საქართველოში დემოკრატია ჩიხში შევიდა და ხელისუფლება თითქოს ევროინტეგრაციის საწინააღმდეგოდ მუშაობს, ეს არის სიცრუე და პოლიტიკური აფიორა. ამას ლაპარაკობენ ის პოლიტიკოსები, რომლებმაც თავის დროზე საქართველოში ყველაფერი ევროპული დაასამარეს.

თავისთავად მოწოდება დევნისკენ, ადამიანებს იმის უფლება აუკრძალო, რომ არ დაგეთანხმონ და ამის გამო დევნა დააანონსო, რასაც აკეთებს რადიკალური ოპოზიცია, ეს არის ზუსტად თანამედროვე ფაშიზმი, ეს მიუღებელია და ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ მთელი საზოგადოება, რათა ამ ადამიანებს არ მიეცეთ საშუალება, რომ პროტესტი, რომელიც წინა დღეებში იყო, თავისი ბნელი მიზნებისთვის გამოიყენონ. რა თქმა უნდა, მათგან არ არის გასაკვირი, რომ ამაში ფულსაც გადაიხდიან, თავის კონტროლქვეშ არსებულ მედიასაც ამუშავებენ, ლობისტებსაც დაიქირავებენ, რომ როგორმე დააზიანონ დღეს საქართველოს ევროპული პერსპექტივა და ამის შედეგად დესტაბილიზაციის მცდელობები გამოუვიდეთ ქვეყანაში, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

გიგა ბოკერია: „ვერცერთი კანონი პუტინისტური სულისკვეთების რეჟიმის ბუნებას ვერ შეცვლის“

– ვენეციის კომისიის დასკვნის გარეშეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერცერთი ცალკე აღებული კანონი პუტინისტური სულისკვეთების რეჟიმის ბუნებას ვერ და არ შეცვლის, – ასე ეხმაურება „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე გიგა ბოკერია ვენეციის კომისიის დასკვნას „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებული დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით.

ბოკერია აღნიშნავს, რომ ამ კანონითაც ჩანს, „თუ როგორ უტიფრად ექცევიან ივანიშვილის რეჟიმის წარმომადგენლები ამ პროცესს“.

– მაგრამ ზოგადად ყველას უნდა ესმოდეს, ცალკე ერთი კანონი რომც არ გამხდარიყო ვენეციის კომისიის კრიტიკის საგანი, ამ რეჟიმის ბუნება ისეთია, რომ მისი გამოცვლის გარეშე რაიმე რეფორმირება ერთი კანონით, ან ზოგადად კანონმდებლობით არის შეუძლებელი. ეს ქვეყანა ივანიშვილის მიერ კანონებითა და კონსტიტუციებით არ იმართება, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ვის ეკუთვნის 10 კომპანია, რომლებმაც 2022 წელს რუსეთში ყველაზე მეტი ბოსტნეული გაყიდეს

2022 წელს ქართული ხილ-ბოსტნეულის ექსპორტმა რუსეთში 75 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. East-fruit-ის მონაცემებით, 2014 წლიდან 2022 წლამდე ექსპორტი რუსეთში საშუალოდ, 8 მილიონი დოლარით გაიზარდა წელიწადში, როცა ექსპორტი 390 მლნ დოლარი იყო.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ კომპანიების ჩამონათვალს, რომლებმაც გასულ წელს რუსულ ბაზარზე ყველაზე დიდი ოდენობის ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები გაყიდეს:

შპს დემე – კომპანიის რეგისტრაციის თარიღი 2015 წელია, წილის 100%-ს კი ბიჭიკო მენაფირი ფლობს;

შპს ისოგრინი – 2021 წელს დაარსებული კომპანიის წილის 100%-ს იშარატ მამედოვი ფლობს;

შპს კონოჰა – კომპანია 2021 წელს დარეგისტრირდა. ხოლო წილი სრულად ვალერი თანდაშვილს ეკუთვნის;

შპს ნათს ფუდი სენაკი – კომპანია 2019 წელს დარეგისტრირდა, წილის 100% კი იამზე ვერულაშვილს ეკუთვნის;

შპს ნამი – კომპანია 2020 წელს დარეგისტრირდა, რომელიც სრულად ეკუთვნის დავითი შალიკიანს;

შპს პაკო 2017 – კომპანიის 100% პავლე გუდაშვილს ეკუთვნის;

შპს სამეფო სოფელი – კომპანიის 34% შოთა ქართველიშვილს ეკუთვნის, ანრი მარგველაშვილისა და მალხაზ ბოჭორიშვილის საკუთრება კი 33-33%-ია;

შპს ტრანს ექსპრესი – კომპანია 2020 წელს დარეგისტრირდა, წილის 100% კი ზემფირა ილაშვილის საკუთრებაა;

შპს ფრუსტარი – 2018 წელს დაარსებული კომპანიის 100% ზაზა ღვალაძეს ეკუთვნის;

შპს ფრუტერა – კომპანია 2020 წელს დარეგისტრირდა და ის პავლე გუდაშვილს ეკუთვნის, ისევე, როგორც შპს პაკო.

რუსეთი დაშლის წინაშე დგება

„ჩვენი მიზანია, ხალხს სუბიექტურობა მივცეთ. მოუნდებათ თუ არა ადამიანებს რუსეთისგან გამოყოფა, ეს უკვე მათი საქმეა“

მარიამ მჭედლიშვილი



საქართველოში პრორუსული ძალების ბოლოდროინდელი ბარბაროსული ქმედებები, ასევე კარგად ორგანიზებული პროკრემლისტური რიტორიკა (რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო) დისონანსში მოდის რუსეთის ფედერაციის რეალურ მდგომარეობასთან და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. პრორუსული ძალების მორიგი გაპარპაშება საქართველოში და ანტიდასავლური გამოხდომები შეიძლება შეედაროს წყალწაღებულის მხრიდან ხავსის მოჭიდებას. აგრესორი რუსეთის მდგომარეობა პრორუსული ძალებისთვის ოპტიმისტურად არ გამოიყურება. მალე კრემლს შეიძლება ისეთი სატკივარი გაუჩნდეს, რომ საქართველოში ძალადობისათვის, პროვოკაციებისა და პროპაგანდისათვის აღარ ეცალოს. რუსეთის შესაძლო დაშლის საკითხს დასავლელი ანალიტიკოსები, როგორც წესი, სიფრთხილით ეკიდებიან, თუმცა არაფერს გამორიცხავენ. რუსეთი ჯერ რომც არ დაიშალოს, დეზინტეგრაციული პროცესი დაწყებულია. ნამდვილად გარდაუვალია ფინანსური კოლაფსი, რომელიც რუსეთს სანქციების მოქმედების შედეგად დაახლოებით ერთ-ორ წელიწადში ელის.

საქართველოში სმენიათ ჩეჩნების (კადიროვის მოწინააღმდეგეები), ასევე თათარსტანის მისწრაფებაზე დამოუკიდებლობისკენ. თუმცა, ბევრმა არ იცის, რომ კრემლის მარწუხებისაგან დახსნა რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტებსაც უნდათ. ყალმუხი (კალმიკი) სამოქალაქო აქტივისტი ალდარ ერენჯენოვი რადიო „თავისუფლების“ კავკასიის ბიუროს ამ საკითხებზე ესაუბრა. მას სამშობლოს დატოვება უკრაინაში რუსეთის შეჭრამდე იმის გამო მოუხდა, რომ გამონათქვამებისთვის დევნიდნენ. გარკვეულ ხანს იგი საქართველოშიც ცხოვრობდა.

– ანტისაომარ კონფერენციებზე გამოდიხართ ხოლმე. ბოლო ასეთი კონფერენცია ბერლინში გაიმართა. ისეთი განცდაა, რომ ყალმუხეთის ოპოზიციის მთავარი წარმომადგენელი ხართ?

– ჩემს თავს უფრო კოორდინატორს ვუწოდებდი. ჩვენ ბევრი ორგანიზაცია გვაქვს და ვცდილობ, მათ შორის კავშირი დავამყარო.

– რისთვის არის საჭირო მათი ერთმანეთთან დაკავშირება?

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი პოლიტიკური ერის ჩამოყალიბება და ერთმანეთთან დიალოგი აუცილებელია. მობილიზებულების ევაკუაციის პროექტმა ყაზახეთსა და მონღოლეთში ეს კავშირები გაზარდა. გავხდი ამ მიმართულების კოორდინატორი.

როცა ომი დამთავრდება, პუტინი მოკვდება, ჩვენ შევეჯახებით ახალ რეალობას. როცა კოორდინაცია არ არსებობს, შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომები დავუშვათ. ახლანდელი ომი – ესაა ომი „რუსულ სამყაროსა“ და უკრაინელებს შორის. ჩვენ, ყალმუხებს, ამ ომში, უბრალოდ, გვიყენებენ. ჩვენ ყალმუხეთის საზოგადოების დეკოლონიზაცია გვინდა. ამისათვის ყველას უნდა დაველაპარაკოთ.

– დეკოლონიზაციის მოთხოვნა ყველას აქვს?

– დიახ. უბრალოდ, ადამიანებს დეკოლონიზაცია სხვადასხვანაირად ესმით. ვიღაცისთვის ეს არის რუსეთის შემადგენლობიდან

„ომი რომ დამთავრდება, ახალ რეალობას შევეჯახებით“

გამოსვლა, ვიღაცისთვის ესაა კოლონიური, თავსმოხვეული აზროვნების სხვა ოპტიკაში გადაყვანა. ეს არის იდენტობის ისტორია.

– თქვენ როგორ გესმით ეს?

– ჩემთვის დეკოლონიზაცია – ესაა ადამიანის გამოღვიძება, გათავისუფლება იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც თავს მოახვიეს. დეკოლონიზაცია გონების გათავისუფლებაა.

– ზოგიერთი ყალმუხისგან მომისმენია, რომ რუსეთი მათთვის უცხოა, რომ მონღოლეთი უფრო ახლოსაა. რესპუბლიკაში ეს განწყობები ძლიერია?

– არის ასეთი განწყობები. არიან მონღოლეთთან მიერთების მსურველებიც. ისეთებიც არიან, რომლებსაც ფედერაციის შემადგენლობაში ყოფნა უნდათ, მაგრამ – რუსების გარეშე. პირადად მე ვემხრობი გაეროს დეკლარაციის პრინციპს ხალხების თვითგამორკვევის თაობაზე.

– რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ მონაწილეობდით ყალმუხების ევაკუაციაში. მოგვიყევით ამ გამოცდილების შესახებ.

– თბილისში თავშესაფარში რომ ვიმყოფებოდი, დამირეკა ნაცნობმა „რუსეთის აზიატებიდან“ და დახმარება მთხოვა. ისინი ახდენდნენ ადამიანების გაყვანის ორგანიზებას ბურიატიიდან და ტუვიდან. ამის შემდეგ ყალმუხეთიდანაც დავიწყეთ ხალხის გამოყვანა. თავშესაფარმა თბილისში შთამაგონა, ასეთივე შელტერები მომეწყო ყაზახეთსა და მონღოლეთში. გავაკეთეთ კარვების ქალაქები საველე სამზარეულოთი.

– გამოდიხართ ევროპის მოედნებზე, ყვებით, რა სჭირდებათ ყალმუხებს. როგორ რეაგირებენ ევროპელები ამაზე?

– ევროპელები ბევრად უფრო კარგად გვიგებენ, ვიდრე რუსები. ევროპაში განათლების დონე მაღალია. რუსეთში რუსი 100 მილიონია, დანარჩენ 40 მილიონს არარუსები შევადგენთ. როგორ შეიძლება 40 მილიონი ადამიანის დაგიწყება.

– რუსულ პროპაგანდაზე რა რეაქცია გაქვთ? ეს პროპაგანდა შემთხვევას არ უშვებს, არ განაცხადოს, რომ ვიღაცებს ქვეყნის დანგრევა უნდათ.

– ყველას ვეუბნები – ყალმუხეთი თქვენი „ქვეყანა“ არ არის. მეც ვერ ვიტყვი, რომ მთელი რუსეთი ჩემი ქვეყანაა. ამის თქმა ყალმუხეთზე შემიძლია. ჩვენი მიზანი ქვეყნის დანგრევა არ არის. ჩვენი მიზანია, ხალხს მივცეთ სუბიექტურობა. მოუნდებათ თუ არა ამ ადამიანებს რუსეთისგან გამოყოფა, ეს უკვე მათი საქმეა.

პაატა მანჯგალაძე: „ამბროსი ხელაიას გამოსახულებიანი მაისურები არ შემომატანინეს და შაერაზმული ლიტერატურა შემოიტანეს“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატ პაატა მანჯგალაძის განცხადებით, პარლამენტში ამბროსი ხელაიას გამოსახულებიანი 10 მაისური არ შეატანინეს, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს შენობა ღია აღმოჩნდა ანტიდასავლური წიგნებისთვის:

– აპარატისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის შეთანხმების გარეშე ამ რაოდენობით ლიტერატურას ვერ შემოიტან, ამის გამოცდილება მაქვს. მე პირადად მინდოდა ამბროსი ხელაიას გამოსახულებით დაპრინტული 10 ცალი მაისურის შემოტანა. ამის შესაძლებლობა არ მოგვცეს. შემდეგ რამდენიმე თანამშრომელმა გადაიცვა რამდენიმე და ისე შემოვიტანეთ, – ამბობს მანჯგალაძე.

დედა სიდონია: „საპატრიარქო გეგმავს, დაიბაროს ან დასაჯოს სასულიერო პირები, რომლებიც აქციაზე ახალგაზრდობას შევუერთდით...“

დედა სიდონია სოციალურ ქსელში წერს:

– ახლახან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩვენი საპატრიარქო გეგმავს, დაიბაროს ან დასაჯოს სასულიერო პირები, რომლებიც რუსული კანონის წინააღმდეგ აქციაზე ახალგაზრდობას შევუერთდით...

ხმამაღლა ვაცხადებ, მე, მონაზონი სიდონია, ვიდგები ყოველთვის და ყველგან იქ, სადაც იდგება ჩვენი ღირსეული, პროევროპული და საქართველოს ნათელი მომავლისთვის მებრძოლი ახალგაზრდობა!

არ შემშინებია! არ მეშინია! არ შემეშინდება! დიდება ევროპულ საქართველოს!

უკრაინა ბახმუტის შენარჩუნებას კვლავაც შეეცდება

კიევში მთავარბანაკის სხდომა გაიმართა. მას თვით უმაღლესი მთავარსარდალი და უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი უძღვებოდა.

სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ ბახმუტის დაცვა მომავალშიც გაგრძელდება. ამას გარდა, განხილულ იქნა ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობაც.

ბახმუტთან ყველაზე მძიმე ვითარებაა

რუსეთ-უკრანის ომი გრძელდება. ყველაზე მძიმე ვითარება ბახმუტთან. რუსი ოკუპანტები კვლავ ქალაქის ალყაში მოქცევას ცდილობენ. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსი ჯარისკაცები და ფირმა „ვაგნერის“ ბანდიტები ბახმუტის პროზონის დაკავებას ესწრაფვიან. უკრაინელები ამის საშუალებას არ აძლევენ.

ბახმუტის გარდა, მწვავე ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან, შახტარსკთან. რუსების ყველა მცდელობა, წინ წაიწიონ, ამაოა. რაც შეეხება უგლედარს, განცდილი მარცხის შემდეგ რუსები ამ ქალაქზე შეტევებს აღარ ახორციელებენ. სამაგიეროდ, უგლედარის დაბომბვა არ წყდება. სვატოვო-კრემენოესთან (ლუგანსჩინა) ვითარება უცვლელია. ოკუპანტები ცდილობენ კონტრშეტევების განხორციელებას. ეს ამაოა.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში მდგომარეობა უცვლელია. აქ ბრძოლები კვლავაც პოზიციურ ხასიათს ატარებს. რუსები უმეტესწილად დაცვაზე არიან გადასული.

დიზელი გაიაფდება, ბენზინის ფასის კლება კი, შესაძლოა, შეჩერდეს

– დიზელის ტიპის საწვავზე ფასი შემცირდება, – ამის შესახებ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვახტანგ იობაშვილმა განაცხადა.

თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ამის პარალელურად, ბენზინზე ფასის კლება, შესაძლოა, შეჩერდეს. ვახტანგ იობაშვილის თქმით, ეს არსებულ რესურსებზეა დამოკიდებული.

– დღეისთვის თბილისისა და ქვეყნის მასშტაბით ზოგიერთ ავტოგასამართ სადგურზე ბენზინის ფასი არის 2,10 – 2,15 (2,09) ლარი. მას (ეკონომიკის მინისტრს) არ ჰქონდა კონკრეტიკა მხოლოდ ბენზინის ფასზე, როდესაც ამაზე ვისაუბრეთ. სხვა შემთხვევაში ჩვენ უნდა მოვძებნოთ რესურსი, ჩვენ უნდა დავდოთ ფაქტები (რასაც აუცილებლად გავაკეთებთ), მაგრამ, თუ რესურსი არ მოგვცემს ამის უფლებას, რომ რეგულარზე კიდევ უფრო დავაკლოთ, სამწუხაროდ, შეჩერდება.

თუმცა, არ შეჩერდება და დაანონსებულია და პირდაპირ ვაცხადებთ, რომ ამ დღეებში დიზელის საწვავზე დაიწყება (თუ უკვე არ დაწყებულა) ფასთა კლების ტენდენცია.

წინმსწრებად არანაირი გათვლა ნავთობპროდუქტების ბაზარზე არ შეიძლება, ვერანაირი „ნოსტრადამუსი“ ვერ გათვლის, რა იქნება ხვალ, მაგრამ, რაც უკვე ვახსენე, რესურსებიდან გამომდინარე უნდა გამოიძებნოს ის გზები, რომ დიზელის ფასი წამოვიდეს ქვემოთ. ზუსტ რიცხვს ვერ დაგისახელებთ, რა საშუალებას მოგვცემს რესურსები, ამაზე ვისაუბროთ ხვალ და ზეგ, – განაცხადა ვახტანგ იობაშვილმა.

თებერვალში რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 754%-ით გაიზარდა

თებერვალში საქართველოში ფულადი გზავნილები შენელდა. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, წინა თვეს ქვეყანაში 372.3 მლნ დოლარი გადმოირიცხა, ამ თანხის დიდი ნაწილი, 50% – რუსეთის ფედერაციიდან.

ამასთან, სებ-ის მონაცემებით, 2023 წლის თებერვალში რუსეთიდან საქართველომ 187.3 მლნ დოლარის ფულადი გზავნილი მიიღო. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილები 754%-ითაა გაზრდილი. გასულ წლის თებერვალში რუსეთიდან საქართველოში 21.9 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რითიც წინა წლის მაჩვენებელი 12.7%-ით იყო შემცირებული. აღსანიშნავია, რომ თებერვლის გზავნილების სტატისტიკაში რუსეთი ისევ პირველ პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოში რეკორდული რაოდენობის ფულადი გზავნილები გადმოირიცხა. ეროვნული ბანკის მონაცემებით, გასულ წელს ქვეყანამ ფულადი გზავნილების სახით 4.4 მილიარდი დოლარი მიიღო, რაც ისტორიული მაქსიმუმი იყო და 2021 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგებულ მაჩვენებელს წარმოადგენდა.

2022 წელს ქვეყნებს შორის ლიდერი რუსეთის ფედერაცია იყო, საიდანაც გადმორიცხვები წლიურ ჭრილში 5-ჯერ გაიზარდა. გასულ წელს რუსეთიდან 2 მილიარდ დოლარზე მეტი გადმოირიცხა, რაც მთლიანი გზავნილების 47.29%-ს შეადგენდა.

სოფელ შილდაში მამაკაცი დაჭრეს

ყვარელში, სოფელ შილდაში, მამაკაცი დაჭრეს. კაცს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობები ქვედა კიდურებზე აქვს მიყენებული.

ადგილობრივების თქმით, მამაკაცს ბიძაშვილმა ესროლა. მას უკვე ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია და ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

არსებული ინფორმაციით, პოლიციამ სავარაუდო ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა. მიმდინარეობს გამოძიება.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 3.492; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.799; არტილერია – 2.528; თვითმფრინავები – 304; ფრთოსანი რაკეტები – 907.

განადგურებულია 161.520 ოკუპანტი.

პუტინის მორიგი პროვოკაციული გამოსვლა



რუსეთის დიქტატორმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ უკრაინის მთავრობის ბრძანებით ააფეთქეს.

– სისულელეა იმის მტკიცება, რომ დივერსია მთავრობისაგან უმართავად უკრაინელმა აქტივისტებმა განახორციელეს! ამგვარი მასშტაბის აფეთქების მოწყობას აქტივისტები ვერ შეძლებდნენ, – აცხადებს პუტინი.

რუსეთის დიქტატორმა უკრაინას ტერორისტული სახელმწიფო უწოდა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ მისი სანქცირება მოითხოვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საპატრიარქო: „აქციაზე სასულიერო პირი თვითნებურად მოქმედებდა საეკლესიო კანონიკის დარღვევით“

– 14 მარტს გამართულ საპროტესტო აქციაზე თვითნებურად მოქმედებდა სასულიერო პირი. მეტიც, ის მოქმედებდა საეკლესიო კანონიკის დარღვევით და მისი მოწოდებები საზოგადოების პოლარიზაციას უწყობდა ხელს. აღნიშნული სასულიერო პირი არ მიეკუთვნება მცხეთა-თბილისის ეპარქიას და მის მღვდელმთავარს რეაგირებისათვის გაეგზავნა შესაბამისი წერილი, – ამის შესახებ საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც საპატრიარქოში განმარტავენ, საეკლესიო ეთიკისთვის შეუფერებელია მლოცველი ადამიანისაგან შეურაცხმყოფელი მიმართვები, გინება და, მით უფრო, ქვების სროლა.

– რამდენიმე დღის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ გაკეთდა განცხადება, სადაც სასულიერო პირებს რადიკალური და საზოგადოებაში პოლარიზაციის ხელშემწყობი პოზიციების საჯაროდ დაფიქსირებისაგან თავის შეკავებისაკენ მოვუწოდეთ.

მიუხედავად ამისა, 2023 წლის 14 მარტს, გამართულ საპროტესტო აქციაზე თვითნებურად მოქმედებდა სასულიერო პირი. მეტიც, ის მოქმედებდა საეკლესიო კანონიკის დარღვევით და მისი მოწოდებები საზოგადოების პოლარიზაციას უწყობდა ხელს.

აღნიშნული სასულიერო პირი არ მიეკუთვნება მცხეთა-თბილისის ეპარქიას და მის მღვდელმთავარს რეაგირებისათვის გაეგზავნა შესაბამისი წერილი.

აღვნიშნავთ, რომ ქვეყნისათვის რაიმე სიკეთის მოტანა სრულიად წარმოუდგენელია, „მოლოტოვის კოქტეილების“ საშუალებით, სამართალდამცავებისათვის ცეცხლის წაკიდებისა და პარლამენტის შენობაში ხანძრის გაჩენის მცდელობით, ეს სრულიად მიუღებელია. ასევე მიუღებელია ის, რაც გუშინ ვიხილეთ, როდესაც აქციაზე ლოცვასთან ერთად ისმოდა მოქალაქეებისადმი მუქარა.

საეკლესიო ეთიკისთვის შეუფერებელია მლოცველი ადამიანისაგან შეურაცხმყოფელი მიმართვები, გინება და, მით უფრო, ქვების სროლა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, დღეს საქართველოს განსაკუთრებულად სჭირდება მშვიდობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო მიმართულებით. ყოველი ძალადობრივი ფაქტი, პოლარიზებისა და შფოთის მცდელობა, დაუბალანსებელი მოწოდება, რომელი მხრიდანაც უნდა იყოს ის ნაკარნახევი, ეკლესიისგან შორს დგას.

ვლოცულობთ მშვიდობისა და ჩვენი ქვეყნის სიმტკიცისთვის, – აღნიშნულია განცხადებაში.

ბათუმში ბატუტზე დაშავებული 3 წლის ბავშვი სამკურნალოდ თურქეთში გადაიყვანეს

3 წლის ბავშვი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბათუმის ბულვარში, ბატუტზე თამაშის დროს დაშავდა, ოჯახმა სამკურნალოდ თურქეთში გადაიყვანა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბათუმელები“ ავრცელებს. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმე იყო.

12 მარტს ბატუტი ძლიერმა ქარმა ადგილიდან მოგლიჯა, შედეგად იქ მყოფი ერთი ბავშვი გარდაიცვალა, მეორე კი მძიმე დაზიანებებით ბათუმის დედათა და ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთი პირი დააკავა. უწყება ამბობს, რომ ბრალდებული პასუხისმგებელი იყო ბულვარში განთავსებული აღნიშნული ე.წ. ბატუტის უსაფრთხოებასა და ექსპლუატაციის წესების დაცვაზე, თუმცა მან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება ვერ უზრუნველყო.

ბათუმის ბულვარში ბატუტის გადაბრუნების შედეგად 9 წლის ბავშვის დაღუპვის საქმეზე დაკავებულს პატიმრობა შეეფარდა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბულვარში ბატუტზე 9 წლის მოზარდის დაღუპვის საქმეზე დაკავებულ ედუარდ აბრამიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება მოსამართლე ლევან ყოლბაიამ მიიღო.

გამოძიება ბრალდებულს „სისხლის სამართლის კოდექსის“ 240-ე მუხლით ედავება, რაც უსაფრთხოების წესების დაცვას გულისხმობს. შსს ინფორმაციით, აღნიშნულ მამაკაცს ბატუტის უსაფრთხოება და ექსპლუატაციის წესების დაცვა ეკისრებოდა, თუმცა მან ვერ უზრუნველყო.

ადვოკატი აცხადებს, რომ ექსპერტიზა დაადგენს რა გახდა ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი.

პროკურორის განცხადებით კი მტკიცებულებების შედეგად დასტურდება, რომ ბატუტი მიწის ზედაპირზე მყარად არ იყო დამაგრებული.

ცნობისთვის, 12 მარტს ბათუმის ბულვარში ბატუტზე თამაშის დროს 9 და 3 წლის ძმები დაშავდნენ. ძლიერმა ქარმა ბატუტი დააზიანა, რის გამოც 9 წლის მოზარდი გარდაიცვალა.

ფულის გათეთრების ფაქტზე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს

პროკურატურის ინფორმაციით, ტრანსნაციონალური დანაშაულის მორიგი ფაქტი გამოავლინეს და ფულის გათეთრების ფაქტზე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს

საქართველოს პროკურატურამ ტრანსნაციონალური დანაშაულის მორიგი ფაქტი გამოავლინა და ფულის გათეთრების ფაქტზე ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე დააკავა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ფინანსური დანაშაულებისთვის ბრალდებულმა, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქემ მის ხელთ არსებული უკანონო და დაუსაბუთებელი ფულადი თანხებისთვის კანონიერი სახის მისაცემად დანაშაულებრივი სქემა შეიმუშავა, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი თანხების არალეგალური გზით ფარულად შემოტანასა და სხვადასხვა პირის სახელით საკუთარ საბანკო ანგარიშებზე განთავსებას გულისხმობდა.

აღნიშნული მიზნით 2017-2020 წლებში ბრალდებულმა არალეგალური გზით, ეტაპობრივად, საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო და დაუსაბუთებელი თანხები შემოიტანა, რომლებიც დაკავშირებული პირების მეშვეობით საქართველოში გახსნილ თავის საბანკო ანგარიშებზე განათავსა. ასევე, თანხის ნაწილით ბრალდებულმა საქართველოში ძვირადღირებული უძრავ-მოძრავი ქონება შეიძინა, რითაც უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინა.

გამოძიების ეტაპზე პროკურატურის მიერ ყადაღა დაედო ბრალდებულის გამგებლობაში არსებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას – 1.532.500 აშშ დოლარსა და 107.550 ლარს. ასევე ყადაღა დაედო ბრალდებულის მიერ შეძენილ ძვირადღირებულ უძრავ ქონებას, მათ შორის წყნეთში მდებარე აგარაკსა და თბილისში მდებარე ორ საცხოვრებელ ბინას, რითაც ბრალდებულს ქონების შემდგომი განკარგვის შესაძლებლობა არ მიეცა. დანაშაულებრივი გზით მიღებული, დაყადაღებული თანხის და უძრავი ქონებების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, პროკურატურა შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს გაატარებს.

ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს პროკურატურა აქტიურად აგრძელებს გამოძიებას ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით.

20 მარტიდან A კატეგორიის ტაქსის ნებართვების ძველი სისტემით გაცემა შეწყდება

– 20 მარტიდან A კატეგორიის ტაქსის ნებართვების ძველი სისტემით გაცემა შეწყდება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, პირველი აპრილიდან ნებართვების გაცემის განსხვავებული მოდელი ამოქმედდება და ერთჯერადად გაიცემა უვადო ნებართვები.

– 20 მარტიდან შეწყდება ძველი სისტემით A კატეგორიის ტაქსის ნებართვების გაცემა და პირველი აპრილიდან ახალი, განსხვავებული მოდელი ამოქმედდება. პირველ აპრილს ერთჯერადად გაიცემა უვადო ნებართვები, რომლის გაყიდვას, ყიდვას, იჯარით გაცემას თვითონ შეძლებენ ნებართვის მფლობელები. თბილისის მერია ნებართვებს მეტად აღარ გასცემს. ეს ნებართვები მოქალაქეებს მუდმივ საკუთრებაში დარჩებათ და შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას, გააგრძელონ მუშაობა, იჯარის წესით გადასცენ ნებართვა ვინმეს თუ გაყიდონ, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ამასთან, კახა კალაძემ კიდევ ერთხელ მიმართა A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს, რომ თუ 20 მარტამდე მუნიციპალიტეტს არ მიმართეს, უვადო ნებართვებს ვეღარ მიიღებენ.

– ვინაიდან ნებართვის გაცემის შესაძლებლობა ამით ამოიწურება, მოვუწოდებ იმ პირებს, რომლებიც A კატეგორიის ტაქსებს მართავენ და არასდროს აუღიათ ნებართვა, 20 მარტამდე მიმართონ მუნიციპალიტეტს და ძველი სისტემით გათვალისწინებული A კატეგორიის ნებართვა აიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი პირველ აპრილს უვადო ნებართვებს ვეღარ მიიღებენ, – განაცხადა თბილისის მერმა.

ქრონიკა

შიშველი ქალი უცნობის სახლში შეიჭრა და მასპინძელს ტაფით სცემა

ამერიკის ვირჯინიის შტატის მცხოვრები 35 წლის პაულა მიშელ ლოკრილი მისთვის უცნობი პიროვნების სახლში შეიჭრა და მასპინძელს თავს ტაფით დაესხა.

მამაკაცს სახლის უკანა მხრიდან ხმაური შემოესმა. მან გადაწყვიტა შეემოწმებინა, ვინმე უცხო პიროვნება ხომ არ იმყოფებოდა შენობაში და იქ უცნობი შიშველი ქალი აღმოაჩინა. ქალი მასპინძელს თავს დაესხა და მას თუჯის ტაფით ცემა დაუწყო. სახლის პატრონმა მისი გაგდება მოახერხა, მაგრამ ქალი სახლის უკანა ნაწილის კიბის სახურავზე აძვრა და ელექტროგამომრთველებს დაერია. შემდეგ ჩამოძვრა, სამზარეულოს ფანჯარაზე აკაკუნებდა და მოითხოვდა, რომ მამაკაცს მისი სახლი დაეტოვებინა.

მას შემდეგ კი, რაც ლოკრილი მამაკაცს მოკვლით დაემუქრა, სახლის პატრონმა პისტოლეტი აიღო და ფეხებში ესროლა. სროლის თაობაზე შეტყობინების შესვლის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ. მათ დაჭრილი ქალი აღმოაჩინეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ექიმებმა მას ადგილზევე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ქალს სხვის სახლში უკანონოდ შეღწევის, თავდასხმის და ცემის, ასევე სხვისი ქონების დაზიანების ბრალდება აქვს წაყენებული. სახლის პატრონის ქმედება კი აუცილებელ თავდაცვად შეფასდა და ამიტომ მას ბრალდება არ წარედგინა.

მამაკაცმა ლატარიაში მილიონი მოიგო და ბილეთი დაკარგა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ დაბოს მკვიდრმა დაკარგა ლატარიის ბილეთი, რომლითაც მან მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

მამაკაცის თქმით, ის უკვე რამდენიმე წელია, მუდმივად მონაწილეობს ლატარიის გათამაშებაში და მთელი ამ დროის განმავლობაში მას მაქსიმუმ ათასი დოლარი ჰქონდა მოგებული. ბილეთის შეძენის შემდეგ ავსტრალიელმა გაიგო, რომ მან ოთხიდან ერთ-ერთი ჯეკპოტი მოხსნა.

თუმცა მოგებიდან მცირე ხანში მამაკაცი მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერ ბილეთს ვერ პოულობდა. დაკარგული ბილეთის ძებნაში მისი ოჯახის ყველა წევრი ჩაერთო, თუმცა უშედეგოდ.

– გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ბილეთი დავკარგე. მას ყველგან ვეძებდი. აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ის ჩემს საფულეში იდო! ეს დაუჯერებელია! – განაცხადა ავსტრალიელმა.

მისი თქმით, ის მოგებულ თანხას შვილებს გაუნაწილებს და შეყვარებულთან ერთად სამოგზაუროდ წავა.

მამაკაცი სიკვდილის დაბლობში ნამქერში ჩარჩა და თავი თოვლითა და კრუასანებით გაჰქონდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრები ხანშიშესული მამაკაცი ერთი კვირის განმავლობაში მანქანით სიკვდილი დაბლობში გამავალ გზაზე ნამქერში ჩარჩა და მთელი ამ დროის განმავლობაში თავს თოვლითა და კრუასანებით ირჩენდა.

81 წლის ჯერი ალან ჯურეტი 24 თებერვალს დაიკარგა. ბოლოს მის შესახებ ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ მამაკაცი კალიფორნიის დასახლება ბიგ-პაინიდან ნევადის შტატის ქალაქ გარდნერვილში უნდა გამგზავრებულიყო. ამ ორ დასახლებას შორის მანძილი 270 კილომეტრს შეადგენდა.

2 მარტს საპატრულო შვეულმფრენის პილოტებმა მისი თოვლში ჩაფლული მანქანა ფორდი სიკვდილის დაბლობზე გამავალ გზატკეცილზე შენიშნეს.

– როდესაც პოლიციელები მასთან ახლოს მიფრინდნენ, მამაკაცმა მანქანის ფანჯრის მინა ჩასწია და ხელების ქნევას მოჰყვა, – განაცხადეს პოლიციაში. აღმოჩნდა, რომ ჯურეტი ქარბუქში მოყვა და ამის შედეგად მისი მანქანა თოვლის ნამქერში გაიჭედა. მთელი ამ დროის განმავლობაში ხანდაზმული მამაკაცი თავს კრუასანებისა და თოვლის ჭამით ირჩენდა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც იმავე დღეს გაწერეს.

– ვფიქრობ, რომ ეს სასწაულია. ის ისეთი ბედნიერი იყო იმით, რომ გადაარჩინეს, მთელი მგზავრობის დროს სახეზე ღიმილი არ მოშორებია, – განაცხადა გადარჩენილი ჯურეტის ძმამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რა საფრთხეს უქადის უკრაინას „ჩინური სამშვიდობო გეგმა“?

ჩინეთის მეთაური სი ცზენპინი მოსკოვში ჩასვლას აპირებს. ის უშუალოდ დიქტატორ პუტინს შეხვდება. საუბრის ძირითადი თემა რუსეთ-უკრაინის ომია. შემდეგ სი ცზენპინი უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის დაურეკავს. ამხანაგი სი შეეცდება, მას საკუთარი სამშვიდობო გეგმა თავს მოახვიოს.

ამრიგად, უკრაინულ ფრონტზე ჩინეთი შესამჩნევად გააქტიურდა. მიზეზი ნათელია: პეკინის ინტერესებში არ შედის მოსკოვის საბოლოო დამარცხება. ამ შემთხვევაში პეკინი საკუთარ საზღვრებთან ახალ პრობლემებს მიიღებს. ქაოსსა და დესტაბილიზაციას შესაძლოა სამხედრო პროვოკაციებიც მოჰყვეს. ხელისუფლებაში პუტინის ყოფნის პირობებში კი ჩინეთი საკუთარ ინტერესებს უმეტესწილად იკმაყოფილებს. ის იაფად იღებს რუს ენერგომატარებლებს, შორეულ აღმოსავლეთში კი ინტენსიურად შემოედინება ჩინური მოსახლეობა.

– ხელისუფლებისგან პუტინის ჩამოშორების შემთხვევაში, ჩინეთი ყოველივე ამას გამოეძებნება, – აცხადებს უკრაინელი ექსპერტი კოქსი.

ამას გარდა, გაუგებარია, ვინ შეცვლის პუტინს. თუ ეს ამერიკისადმი ლოიალურად განწყობილი პიროვნება იქნება, ჩინეთი რუსეთის სახით უკვე მტერს მიიღებს. სავსებით რეალურია მეორე ვარიანტიც: ქაოსი რუსეთში. ჩინეთისათვის ეს კატასტროფაა, რადგანაც არაპროგნოზირებული მეზობლის ყოლა (მით უმეტეს ისეთის, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს) სახიფათოა. ყველაფერმა ამან განაპირობა „ჩინური სამშვიდობო გეგმა“.

მისი არსი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: ყველა ქვეყნის, მათ შორის უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა ვცეთ; შესაბამისად, უკრაინას უნდა დაუბრუნდეს დონბასი, ყირიმი და ა.შ. რუსულმა არმიამ კი უკრაინის ტერიტორია უნდა დატოვოს. ამავე დროს, ჩინეთი წინააღმდეგია რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებისა, სამხედრო ბლოკების, უწინარეს ყოვლისა, ნატოს გაძლიერებისა. ჩინურ სამშვიდობო გეგმაში სიტყვაც არ არის ნათქვამი ნატოს გაფართოებასა და ბლოკში ისეთი ქვეყნების მიღებაზე, როგორებიც არიან უკრაინა, საქართველო, მოლდოვა. ჩინეთი არაფერს არ ლაპარაკობს რუსეთის მიერ უკრაინელთა გენოციდზე, უკრაინული ქალაქების დაბომბვაზე და ა.შ.

კანონზომიერია, რომ დიქტატორმა პუტინმა ჩინურ გეგმას მხარი დაუჭირა. პუტინს მიემხრნენ ბელარუსი და ყაზახეთი. ჩინურ სამშვიდობო გეგმას მხარს უჭერენ ევროპის რიგი გავლენიანი ძალები, კერძოდ, აშშ-ში გერმანიის ექსელჩის მიერ შემუშავებული სამშვიდობო სქემა ჩინურს ძალზე მოგვაგონებს. ამიტომაც კიევში სი ცზენპინის „სამშვიდობო ინიციატივებმა“ ძირითადად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ეს, რასაკვირველია, აისახება ზელენსკის მომავალ სატელეფონო საუბარზეც ჩინეთის ლიდერთან.

რასაკვირველია, რუსეთ-უკრაინის ომს წერტილი დიპლომატიურ მაგიდასთან დაესმება, თუმცა ეს უკრაინის ინტერესების სრული დაცვით უნდა მოხდეს. ახლა ეს ბრძოლის ველზე წყდება.

ინციდენტი შავ ზღვაში



შავ ზღვაში ინციდენტი მოხდა. რუსულმა ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს ამერიკულ სადაზვერვო უპილოტო თვითმფრინავზე. რუსები იმდენად არაპროფესიონალურად იქცეოდნენ, რომ შეიქმნა როგორც ამერიკული უპილოტო თვითმფრინავის, ისე რუსული ავიაგამანადგურებლების კატასტროფის საფრთხე.

– ჩვენც იძულებულნი გავხდით, ჩამოგვეგდო უპილოტო თვითმფრინავი. ამით კატასტროფა თავიდან იქნა აცილებული, – აცხადებს პენტაგონი. მომხდარი ინციდენტის თაობაზე ამერიკელმა გენერლებმა უშუალოდ პრეზიდენტ ბაიდენს მოახსენეს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში მიმდინარე ომზე განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ რუსეთი ცდილობს, უკრაინას თავს მოახვიოს თავისი გავლენა, უკარნახოს, თუ რა ენაზე ისაუბრონ, რომელ ეკლესიაში ილოცონ, რა ფასეულობები აღიარონ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, რუსეთს სრულფასოვანი კონტრდარტყმა უნდა მიაყენონ, რათა კრემლმა მსგავსი ძალადობა ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოს.

– თუ პუტინმა თავისი გაიტანა, მსგავს მეთოდებს სხვა რეგიონებშიც გამოიყენებს, – ნათქვამია განცხადებაში.

ტრამპმა ყველა რეკორდი მოხსნა

აშშ-ის ექსპრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ რუსეთს თურმე დემოკრატიული სახალხო მთავრობა მართავს, აშშ-ში კი დიქტატურაა.

– მხედველობაში მაქვს პრეზიდენტი ბაიდენი და მისი გუნდი. ის არავის არ აურჩევია! მან ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა და ადამიანის უფლებები, კონსტიტუცია ფეხქვეშ გათელა, – თქვა ტრამპმა. ამიტომაც, აშშ-ის ექსპრეზიდენტის აზრით, რეჟიმი არა რუსეთში, არამედ აშშ-ში უნდა შეიცვალოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

სპილომ წყალში ნიანგის თავდასხმა მოიგერია

ზამბიაში 53 წლის გიდი ემანუილ საუტი სპილოსა და ნიანგის დაპირისპირების თვითმხილველი გახდა.

მამაკაცი ნავით მდინარე ლუანგვაზე მიცურავდა, როდესაც შენიშნა, თუ როგორ დაესხა თავს ნიანგი სპილოს და კუდში ჩააფრინდა. სპილო წყლიდან ამოსვლას შეეცადა და ტრიალი დაიწყო, რათა რეპტილია თავიდან მოეშორებინა. ამის შედეგად ნიანგი იძულებული გახდა, მსხვერპლისთვის თავი დაენებებინა და სპილო ხმელეთზე ამოვიდა.

– განსხვავებულმა ემოციებმა შემიპყრო. ერთი მხრივ, ნიანგისადმი შიშსაც კი განვიცდიდი. თქვენ ხომ იცით, რამდენად დიდები და ძლიერები არიან სპილოები! – განაცხადა საუტმა.

გიდის აღიარებით, სპილოსა და ნიანგის ორთაბრძოლა მის ცხოვრებაში ყველაზე უჩვეულო სანახაობა იყო.

– მრავალი უჩვეულო რამ მინახავს ველურ ბუნებაში, მაგრამ ეს შემთხვევა ყველა მათგანს აღემატება. ყოველდღე ვერ გახდები სპილოსა და ნიანგის ორთაბრძოლის თვითმხილველი. ასეთი სანახაობა უიშვიათესი და უნიკალურია და სწორედ ასეთი მომენტები მაიძულებს, დავაფასო საკუთარი სამუშაო, – ამტკიცებს საუტი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

გიორგი კეკელიძე მარო მაყაშვილის სტიპენდიის დაწესების გამო გააკრიტიკეს

მწერალმა გიორგი კეკელიძემ ეროვნული გმირის მარო მაყაშვილის სახელობის სტიპენდია დააწესა და მის მფლობელად რუსთაველის გამზირზე რუსული კანონის წინააღმდეგ ჩატარებულ საპროტესტო აქციაზე წყლის ჭავლთან მოცეკვავე 16 წლის სალომე კენჭიაშვილი დაასახელა:

– „გურული დღიურების ფონდი“ აფუძნებს ახალ სტიპენდიას, რომელიც მარო მაყაშვილის სახელობის იქნება. პირველ სტიპენდიას მიიღებს სალომე კენჭიაშვილი, გოგო, რომელიც აქციის დაშლისას წყლის ჭავლზე ცეკვავდა – ტაიკვანდოს ოსტატი და კარგი მოსწავლე. ეს იქნება ჩემი მოკრძალებული თანაგანცდის ნაბიჯი მისი თაობის მიმართ და იგულისხმებს ერთი წლის განმავლობაში გარკვეულ წახალისებას სწავლის მიმართულებით. ჩვენი გადაწყვეტილება კი, ერთი მხრივ, მისი სამოქალაქო პოზიციით და, მეორე მხრივ, ნიჭიერების დაფასებით არის განპირობებული.

მე აღფრთოვანებული ვარ ამ გოგოთი, რაც რადიო „თავისუფლების“ სიუჟეტი ვნახე, მაგრამ, ვინც თაობის ნაწილის გაუნათლებლობაზე წუხხართ, დაეხმარეთ განათლების მიმართულებით, ვინც ფიქრობს, რომ ნაწილი მათგან სხვა მხრივ აღზრდას საჭიროებს, გაუწოდეთ ხელი ამ მიმართულებით. მოდის ძალიან კარგი და ნიჭიერი თაობა, საკუთარი ხარვეზებითა და სირთულეებით, მაგრამ დიდი უპირატესობით – თავისუფლების ბუნებრივი განცდით.

რამდენიმე პატივსაცემმა ადამიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩვენი ფონდის მიერ მარო მაყაშვილის სტიპენდიის დაწესებით და რომელიმე ახალგაზრდისთვის მინიჭებით ქართველი გმირის სახელი კნინდება.

კარგი, მოგიყვებით ჯერ, რა გავაკეთეთ ჩვენ მარო მაყაშვილის სახელის „დასაკნინებლად“, იმის ხაზგასუსმელად, რას აკეთებენ სხვები.

1) ეროვნული ბიბლიოთეკის ცენტრალურ კორპუსში გავხსენით მარო მაყაშვილის ბაღი;

2) ფოტოების უმრავლესობა, რომლებსაც თქვენ იყენებთ მაროსას, ჩვენი რესტრავრირებული და გაციფრებულია;

3) ვაწყობთ საჯარო ლექციებს ქართულ სოფლებში მარო მაყაშვილსა და ქართველ იუნკრებზე;

4) მაროს მამის, კოტე მაყაშვილის ლექსი საკუთარ შვილზე წარვადგინეთ ქართულის საელმძღვანელოებში შესატანად;

5) ამ სტიპენდიას ვანიჭებთ სხვადასხვა აზრით გამორჩეულ ახალგაზრდებს – იმ ლოგიკით, რომ ვინმემ სრულად უნდა გაიმეოროს მაროს გზა ტრაგიკული აღსასრულით, იმედია, არავისთვის მინიჭება არ დაგვჭირდება. ჩვენ მათ გმირობას არ ვანიჭებთ – საქციელს ან სწავლას ვუქებთ და ვეხმარებით. აქამდე დავაარსეთ ანწუხელიძისა და დათა პაპას სახელობის სტიპენდიები. მარო მაყაშვილის სტიპენდია კი ორ საქმეს გააკეთებს – ერთი, რომ ახალგაზრდებს წაახალისებს და მეორე – ამ თაობას, რომელთაგანაც ზოგიერთმა შეიძლება არც იცის ან ცოტა იცის ქართველ გმირზე, დააფიქრებს ან შეახსენებს მის ღვაწლს. თუ ფონდის სახელია გამაღიზიანებელი – „გურული დღიურები“ – ამას ვერაფერს მოვუხერხებთ, რეორგანიზაცია რთული საქმეა და თავის დროზე იმიტომაც დაერქვა, რომ გურულები შევიკრიბეთ, ჩემი წიგნებიდან ჰონორარს სრულად აქ ვრიცხავდი და ჩემი ხელფასისასაც. ასობით მოსწავლესა და სტუდენტს გავუმართეთ ხელი. ახლა ერთი შშმ გოგოსთვის გვინდა მაროს სტიპენდიის დანიშვნა, რომელიც უნივერსიტეტში ვერ დადის სოფელ დიციდან, ოკუპაციის გამყოფი ხაზიდან და ეგებ ამ საქმეში დაგვეხმაროთ და პარალელურად ფილოსოფიურად გვაკრიტიკოთ, ეგ პრობლემა არ არის. აქვე გთხოვთ, რომ ნურავის ლანძღვას ნუ დაუწყებთ, პატივსაცემი სარკასტულად არ დამიწერია, ზოგი მათგან მართლა პატივსაცემია.

ზოგიერთი, მადლობა ღმერთს, რომ უმცირესობა, შეწუხდა, მარო მაყაშვილის სტიპენდიას რატომ აძლევთ ჭავლთან მოცეკვავე გოგონას, მაროს სახელს აკნინებსო. თითქოს სახელობითი სტიპენდიის მინიჭება გარდაუვალ მსგავსებას მოითხოვდეს. მე სტუდენტობისას ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიატი ვიყავი და, არა მგონია, ილიასი რამე მცხებოდა. არავის ვუსურვებ მაროს გზისა და ტრაგიკული აღსასრულის განმეორებას. სალომე კენჭიაშვილი კი კარგი მაგალითია იმ სტერეოტიპის წინააღმდეგ, თითქოს ამ თაობას სამშობლო არ აინტერესებს და მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს. სალომე არის მაგალითი საკუთარი თაობისთვის – მოქალაქეობით, სწავლის სურვილითა და ზრდილობით. ასე რომ, აცალეთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

მამუკელაშვილი ათამაშეს, ბითაძე ისევ სათადარიგოა

ნბა-ში მორიგი მატჩები გაიმართა და ქართველი კალათბურთის გულშემატკივრები „ქართულ დერბს“ ელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო შინ გოგა ბითაძის ორლანდოს დაუხვდა და 132:114 მოუგო.

ბითაძე არ ათამაშეს, მამუკელაშვილმა კი პარკეტზე სოლიდური დრო გაატარა – 21:29 წუთი. სანდროს მონაგარი ასეთია: 7 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი. მამუკელაშვილმა ერთი ორქულიანი ააცილა, ოთხიდან ორი სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ორი საჯარიმოდან მიზანს ერთმა უწია. ჩვენებურის პასივში ორი დაკარგვაც არის.

ორლანდო 28 მოგებითა და 42 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციის მე-13 ადგილზეა და ფლეი ინში გასვლის მინიმალური შანსი აქვს, მომდევნო მატჩი კი სტუმრად ფენიქსთან ელის.

სან ანტონიო ფლეი ინში ველარ გავა. გრეგ პოპოვიჩის გუნდს 18 მოგება და 50 მარცხი აქვს, მომდევნო მატჩს კი შინ დალასთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

მეთევზემ უზარმაზარი ქორჭილა დაიჭირა

მეთევზე კაილ პულმა უზარმაზარი ქორჭილა დაიჭირა, რომელიც ასევე მალაბარული გრუპერის სახელითადაცაა ცნობილი. მან ამის გაკეთება ავსტრალიის ქალაქ ექსმუტის სანაპიროსთან შეძლო.

უზარმაზარი თევზის დაჭერის პროცესი ვიდეოზე იქნა გადაღებული. კადრებში ჩანს, თუ როგორ ექაჩება პული მთელი ძალით ანკესს, შემდეგ კი იწყებს ყვირილს, როდესაც მიხვდა, თუ რამდენად დიდი ზომის თევზი დაიჭირა.

მეთევზემ ნადავლი ჯერ ნავამდე მიაცურა, შემდეგ კი მეგობარ ქალთან ერთად ქორჭილა გემბანზე აათრია.

– ჰოო, ეს ყველაზე დიდი თევზია მათ შორის, რომელიც კი მე ოდესმე დამიჭერია... ნამდვილი ურჩხულია, – ამბობს მეთევზე.

შემდეგ კადრში პული ამაყად ზის მუხლებზე თავის ნადავლით. ამ ყველაფრის ვიდეოზე აღბეჭდვის შემდეგ პულმა თავის მეგობარ ქალთან ერთად თევზი, რომელსაც „კოდზილა“ შეარქვა, ოკეანეში დააბრუნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ბორჯღალოსნებმა მსოფლიომდე ტესტები დაგეგმეს

2023 წლის მსოფლიო თასის დაწყებამდე საქართველო სამ გასახურებელ ტესტ-მატჩს გამართავს – ორს თბილისში და ერთსაც – ედინბურგში.

შოტლანდიაში და მერე საფრანგეთში მიჯრით მეექვსე მსოფლიო თასზე გამგზავრებამდე ქართველ ქომაგს ბორჯღალოსნების გაცილების ორი შანსი ექნება: მზადების დასკვნით ეტაპზე ჩვენი გუნდი პირველ შეხვედრას 12 აგვისტოს, ასევე მსოფლიო თასის მონაწილე რუმინეთთან გამართავს; 19 აგვისტოს აშშ გვეწვევა, ვისთანაც ბოლო 6 წელია არ გვითამაშია; 26 აგვისტოს კი ტიერ 1-ის გუნდ შოტლანდიასთან, ედინბურგში, დასკვნით რეპეტიციას გავივლით.

საფრანგეთის მსოფლიო თასზე ბორჯღალოსნები პირველ მატჩს 9 სექტემბერს, პარიზში ავსტრალიის წინააღმდეგ გამართავს, რის შემდეგაც ორი კვირა დაისვენებს და 23-ში პორტუგალიას ტულუზში შეერკინება. 30 სექტემბერს ბორდოში მისი მეტოქე ფიჯი იქნება, ჯგუფურ ეტაპს კი 7 ოქტომბერს უელსთან, ნანტში დაასრულებს.

თორნიკე გოგებაშვილი, რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– საქართველოსთვის ზედიზედ მეექვსე მსოფლიო თასის დაწყებამდე რამდენიმე თვეღა დარჩა და ბორჯღალოსნები აქტიურად ემზადებიან. უკვე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საფრანგეთში გამგზავრებამდე აგვისტოში სამ გასახურებელ თამაშს გავმართავთ. სასიხარულო ამბავი გვაქვს ქართველი გულშემატკივრისთვის, რადგან პირველი ორი თამაში თბილისში გაიმართება. ყველამ კარგად იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი მორაგბეებისთვის გულშემატკივრის მხარდაჭერა და მსოფლიო თასზე ამ მუხტით გაცილება. ასევე დარწმუნებული ვარ, ბორჯღალოსნებს მხარდაჭერა არც საფრანგეთში მოაკლდებათ, როგორც ქართველი, ასევე ადგილობრივი ქომაგისაგან.

პირველი გასახურებელი შეხვედრა რუმინეთთან გვაქვს, რომელიც თავად მსოფლიო თასის მონაწილეა და ეს თამაში ორივე გუნდისთვის საინტერესო იქნება. ერთი კვირის თავზე აშშ გვეწვევა, რომელსაც მსოფლიო თასზე გასასვლელად სულ ცოტა დააკლდა და საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად ორმაგად მოტივირებული ჩამოვა. მათთან დიდი ხანია აღარ გვითამაშია. განვლილ შეხვედრებს თუ გავიხსენებთ, „არწივები“ ყოველთვის მებრძოლი გუნდი იყო და გამარჯვებულის ბედი ხშირად დასკვნით წუთებში ირკვეოდა.

დაბოლოს, 26 აგვისტოს შოტლანდიას ედინბურგში ვერკინებით, რომელთანაც ბოლო წლებში არაერთი თამაში გვქონდა. ჩვენთვის პატივია, რომ უკვე მეორედ მსოფლიო თასის წინ, შოტლანდია დასკვნითი რეპეტიციისთვის მეტოქედ საქართველოს ირჩევს. ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრანგეთში გამგზავრებამდე ტიერ1-ის წარმომადგენელთან ერთი შეხვედრა გვქონოდა და ამ მხრივ ყველაფერი კარგად დალაგდა.

ზოგადად, მსოფლიო თასის წინ ძალიან რთულია კარგი ტესტ-მატჩების მოძიება. გასულ წლებში მოსამზადებელ ეტაპზე ხშირად გვიწევდა კლუბებთან თამაში, ახლა კი მსოფლიო თასის ორ მონაწილესთან და აშშ-ს საინტერესო გუნდთან გვექნება სპარინგები. მინდა წარმატებები ვუსურვო ჩვენ გუნდს იმ გრძელ გზაზე, რასაც მსოფლიო თასისთვის მზადება ქვია.

გასახურებელ მატჩებში რუმინეთი ჩვენთვის ყველაზე კარგად ნაცნობი მეტოქეა. საქართველოს მასთან 25 წლის განმავლობაში 27-ჯერ უთამაშია (17 მოგება, 1 ფრე, 9 წაგება).

აშშ-ს 2009-17 წლებში ექვსჯერ შევხვდით და თანაბარი ბალანსი გვაქვს – 3-3 მოგება. მეტოქემ წარმატებას 2009 (დენვერში 31:13), 2012 (გლენდეილში 36:20) და 2013 (რუსთავში 25:23) მიაღწია. საქართველომ კი, გამარჯვებები 2010 (თბილისში 19:17) და 2017 წლებში (ატლანტაში 21:17 და ისევ თბილისში 21:20) მოიპოვა.

ხუთჯერ ვეთამაშეთ შოტლანდიას და ჯერჯერობით „ნარშავები“ სრულ უპირატესობას ფლობენ.

ვასილ აბაშიძე, ნაკრების მენეჯერი:

– მსოფლიო თასზე მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოგვიწია და რადგან წამყვანი გუნდების უმეტესობას დიდი ხნით ადრე ჰქონდა გაწერილი გრაფიკი, ამ პერიოდისთვის ძალიან რთული იყო ხარისხიანი ტესტ-მატჩების მოძიება. მოლაპარაკებას ვაწარმოებდით რამდენიმე ნაკრებთან და კლუბთან. შოტლანდიამ თავად გამოთქვა ჩვენთან თამაშის სურვილი და რა თქმა უნდა სიამოვნებით დავთანხმდით. რუმინეთს, რომელიც მსოფლიო თასზე ასევე რაგბი ევროპიდან მოხვდა ჩვენ შევთავაზეთ გასახურებელი შეხვედრის გამართვა. ეს თამაში ორივე გუნდს ძალიან ჭირდებოდა და შეთანხმებაც შედგა. მსოფლიო რაგბის დახმარებით მოხდა შეთანხმება აშშ-ის რაგბის კავშირთან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საფრანგეთში გამგზავრებამდე საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გვეთამაშა. კარგად დალაგდა თამაშები მეტოქეთა სიძლიერის გათვალისწინებით. მთლიანობაში, გასახურებელი მატჩებით კმაყოფილი ვართ. შოტლანდიასთან შეხვედრის შემდეგ ედინბურგში სამი დღე დავრჩებით და პირდაპირ იქიდან ჩავალთ საფრანგეთში.

გიორგი კოხრეიძე: „სანიოლი შანსს ყველას აძლევს. მეც ვიბრძოლებ ნაკრებში დასაბრუნებლად“

გიორგი კოხრეიძე ფრანგული გრენობლიდან სათამაშოდ საქართველოში დაბრუნდა და ისევ ყოფილ კლუბს, საბურთალოს შეუერთდა.

გრენობლიში ჩვენებურის კარიერა ვერ აეწყო, ხან ტრავმებმა შეუშალა ხელი, რის შემდეგ რეაბილიტაციისა და ადაპტაციის პროცესი გაჭირდა.

– როგორი გრძნობებით დაბრუნდებით საბურთალოში?

– ამ კლუბთან მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სახლში დავბრუნდი.

– საბურთალოს ახლანდელ მწვრთნელ ომარ თეთრაძესთან აქამდე არ გიმუშავიათ. გუნდში ბევრი ახალი სახეა. ადაპტაციის პროცესი როგორ მიმდინარეობს?

– ადაპტაციას ვერ დავარქმევ. უკვე გითხარით, ჩემთვის ეს კლუბი ოჯახივითაა და ოჯახში რა ადაპტაცია არ უნდა სჭირდებოდეს ადამიანს?! კი, არიან ახალი ფეხბურთელები, არც ბატონ ომართან მიმუშავია აქამდე, მაგრამ ეს პრობლემა ნამდვილად არ არის.

– რატომ არ შედგა უკრაინულ ზორიაში ტრანსფერი?

– თურქეთში გუნდთან ერთად შეკრება კი გავიარე, მაგრამ ომის გამო გარკვეული სირთულეები შეიქმნა. ზორია კიევში ცხოვრობს, იქ ვარჯიშობს. ამ ეტაპზე გადავწყვიტე, რომ სხვაგან გამეგრძელებინა კარიერა.

– როგორ ფიქრობთ, რა მიზნები ექნება საბურთალოს მომავალ სეზონში?

– რაც საბურთალო არსებობს, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძვის საქართველოს ჩემპიონატში. მჯერა, მიმდინარე სეზონშიც ასე იქნება. ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრაა და, დიდი იმედი მაქვს, ამას შევძლებთ კიდეც. მთელი სეზონი წინ არის. მჯერა ამ გუნდის, ჩემი პარტნიორების...

– საინტერესოა, როგორ ფორმაში ხართ და როგორ გგონიათ, როდის მიაღწევთ ოპტიმალურ კონდიციებს?

– თურქეთში ზორიასთან ერთად ნაყოფიერი შეკრება გავიარე. ახლა სეზონის სტარტია და იდეალურ ფორმაში ჯერ ვერცერთი ფეხბურთელი ვერ იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, გავაგრძელებ მუშაობას თავდადებით და ვნახოთ.

– სანამ საბურთალოზე გააკეთებდი არჩევანს, თუ გქონდათ სხვა შეთავაზებები?

– სიმართლე გითხრათ, ბევრი აღარც მიფიქრია, როცა საბურთალოდან გამოიჩინეს ყურადღება. ეს ყურადღება წამოვიდა უშუალოდ კლუბის ხელმძღვანელობისგან და ამან ძალიან გამახარა.

– როდის ჩათვლით წარმატებულად მიმდინარე სეზონს?

– ამის თქმა ახლა ძალიან რთულია. ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ მთავარია გუნდის წარმატება! როცა გუნდი კარგად თამაშობს, ფეხბურთელსაც უადვილდება კონკრეტული მიზნების მიღწევა.

– ეროვნული ნაკრების კანდიდატი იყავით.

– ფაქტია, ვლადიმირ ვაისი ერიდებოდა საქართველოს ჩემპიონატიდან ფეხბურთელების გამოძახებას, ვილი სანიოლი კი შანსს ეროვნული ლიგის მოთამაშეებსაც აძლევს. ეს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისთვის დიდი სტიმულია. ყველას ოცნებაა ნაკრებში თამაში. მათ შორის ვარ მეც და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ!

ინტერი ბოლოს ბოლოს

ჩემპიონთა ლიგას კიდევ ორი მეოთხედფინალისტი შეუერთდა – მანჩესტერ სიტი და მილანის ინტერი. ქალაქელებმა ეს იოლად მოახერხეს, აი, იტალიურ კლუბს გაუჭირდა და გაუმართლა კიდეც.

სიტი-ლაიფციგი 7:0

ორი მატჩის ჯამში: 8:1

1:0, 2:0, 3:0 ჰოლანდი (22პ, 24, 45), 4:0 გუნდოგანი (49), 5:0, 6:0 ჰოლანდი (54, 57), 7:0 დე ბრუინი (90)

ამ გუნდების გერმანული ჯახი 1:1 დასრულდა. თითქოს ბრძოლა მანჩესტერშიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. სიტიმ გერმანული გუნდი მარტივად, ძალების დაზოგვით გაანადგურა.

მატჩის გმირი კი ერლინგ ჰოლანდია, რომელმაც „ეტიჰად სთედიუმზე“ „იფეთქა“ და 5 გოლი გაიტანა.

ჰოლანდი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მესამე ფეხბურთელი გახდა რომელმაც ერთ მატჩში 5 ბურთი გაიტანა. მანამდე იგივე ლიონელ მესისა და ლუის ადრიანოს გაუკეთებია. თუმცა სკანდინავიელმა ყველაზე სწრაფად შეძლო ამ ტურნირზე 30-გოლიან ზღვარზე გადაბიჯება როგორც მატჩების რაოდენობით, ისე ასაკით.

პეპ გვარდიოლას გუნდმა მისი გოლები არ იკმარა და თითოც ილქაი გუნდოგანმა და კევინ დე ბრუინმაც გაიტანეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ერლინგ ჰოლანდი

აქ საფიქრალი და საწვალებელი არაფერი იყო – 5 გოლი ზედმეტად საკმარისია საუკეთესოს დასახელებისთვის.

სიტი და ინტერი მეოთხედფინალში გავიდნენ

პორტუ-ინტერი 0:0

ორი მატჩის ჯამში: 0:1

ინტერს შინ 1:0 ჰქონდა მოგებული და სტუმრად ეს მცირე უპირატესობა კარგად დაიცვა, თუმცა მატჩის ბოლო წამებზე მარცხს სასწაულებრივად გადაურჩა.

მანამდე სიმონე ინძაგის გუნდმა დაცვაში გამართული ფეხბურთით აჯობა მეტოქეს, მაგრამ ბოლოსკენ ეს შრომა კინაღამ წყალში ჩაეყარა: ჯერ ივან მარკანოს დარტყმა ცარიელი კარიდან დენზე დუმფრისმა გამოიტანა, შემდეგ მეჰდი ტარემის მეკარემ ისე აუღო, რომ ბურთი ძელსაც მოხვდა, ბოლოს კი მარკო გრუიჩის დარტყმისგან ინტერი ხარიხამ იხსნა.

ეს ყველაფერი ერთწუთიან ინტერვალში მოხდა.

საბოლოოდ გამარჯვებული ინტერი დარჩა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში 12-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანდრე ონანა

ინტერის მეკარეს ბევრი საქმე არ ჰქონია, მაგრამ იმ ერთხელაც, როდესაც ტარემის აჯობა და აუღო, გუნდი გოლისგან იხსნა, შესაბამისად, წაგებისგანაც...

ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში არიან ჩელსი, ინტერი, მილანი, სიტი, ბაიერნი და ბენფიკა.

ბოლო ორი მეოთხედფინალისტი კი გუშინ გვიან ღამით გაირკვეოდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტროსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 2. „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 3. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 4. უნგრეთის პრეზიდენტი; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 12. ამერიკელი ასტრონავტი, პირველი ადამიანი მთვარეზე; 14. რეგიონი კახეთში; 15. ფირმა „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 20. რომან „ხევისბერი გოჩას“ პერსონაჟი.

თარაზულად: 5. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად; 6. ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი; 8. ბაზრის ძველი სახელწოდება საქართველოში; 10. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 11. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 13. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 16. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 21. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 22. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 23. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გრეგორი; 2. მასანდრა; 3. ფეიხოა; 4. ზუმბი; 5. ზიმბამბვე; 8. ფოლკლორი; 11. კოდა; 13. მუშტაიდი; 14. აგენტი; 16. დანელია; 18. ბოღმა; 20. ტუბა.

თარაზულად: 6. ერისტიკა; 7. ფრეჟიუსი; 8. ფოლადი; 9. პოსკო; 10. ადმირალი; 11. ჩხიკვაძე; 15. ცუკენბერგი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სიღნაღი; 22. დირიჟაბლი. 23. გალიორკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვიბრაცია; 2. ბოლტი; 3. მანსარდა; 4. მახათა; 7. კრიჟი; 9; ჯუნტა; 12. აბასთუმანი; 14. ლაღიძე; 15. იღუმენი; 17. საღამო; 20. პაქტი.

თარაზულად: 5. სიმბიოზი; 6. იზაბელა; 8. კეტჩერი; 10. ლაუვარდი; 11. სინხუა; 13. სტატიბა; 16. გარდიანი; 18. თართი; 19. სუეცი; 21. ვარარა; 22. ანეკდოტი; 23. ჰოფმანი.

საქართველომ ოლიმპიური ჩემპიონი დაამარცხა

საქართველო-სერბეთი 11:11 (12:11პ)

(4:2, 2:3, 2:3, 3:3)

საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასზე კარგად ითამაშა, ხუთი მატჩიდან 2 მოიგო და 3 წააგო, მაგრამ ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

ჩვენი გუნდი ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდა: ჯერ ევროპის ჩემპიონ მონტენეგროსთან 8 წამით ადრე წავაგეთ, შემდეგ ავსტრალიას მოვუგეთ, ასევე წავაგეთ მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთთან და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ საბერძნეთთან, ბოლოს კი, სულაც ზედიზედ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონები, სერბები დავამარცხეთ.

სწორედ სერბეთთან მოგებით საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს თასის ჯგუფური ეტაპის ფინიშზე მსოფლიო აახმაურა. იმ ქვეყნის წყალბურთელებმა, რომლებსაც ქვეყანაში ერთი ხეირიანი საცურაო აუზი აქვთ, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ამარცხებენ.

პირველი მეოთხედი საქართველოს ნაკრებმა 4:2 მოიგო. სერბები ასეთ დასაწყისს არ ელოდნენ და მეორე პერიოდიდან მოუმატეს. მოიგეს კიდეც შემდეგ ორი მეოთხედი, მაგრამ თითო ბურთის და დასკვნითი მეოთხედის წინ თანაფარდობა იყო – 8:8.

საფინალო სირენამდე სამი წუთი იყო დარჩენილი, როცა ოლიმპიური ჩემპიონები ორი ბურთით დაწინაურდნენ – 11:9. დუშან ვასიჩმა და ანდრია ბითაძემ წუთით ადრე ანგარიში გაქვითეს – 11:11. მსოფლიოს თასის დებულების თანახმად, დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც ქართველები უფრო თავდაჯერებულები იყვნენ და სერია 12:11 მოიგეს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

16 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5867

ევრო — 2.7520

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1234

100 რუსული რუბლი — 3.4097

ერლინ ჰოლანდი: „ეს ჩემი მაქსიმუმი არ არის“

მანჩესტერ სიტიმ მერვედფინალის განმეორებით შეხვედრაში ლაიპციგი გაანადგურა 7:0. 5 გოლი ერლინ ჰოლანდის ანგარიშზეა, რომელმაც რეკორდი დაამყარა. მატჩის შემდეგ ჰოლანდმა თქვა, რომ ეს მისი მაქსიმუმი არ არის: „მინდა, ყოველთვის მაქსიმუმი გავაკეთო და მიხარია, რომ დღეს ეს გამომივიდა. მომავალში კიდევ უფრო მეტ შედეგს ვაჩვენებ. ჩემპიონთა ლიგაში შეგვიძლია, შორს წავიდეთ“.

მიკელ არტეტა: „ევროპის ლიგის მოგება შეგვიძლია“



არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ სპორტინგთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია არა მარტო პორტუგალიური გუნდის ბარიერის დაძლევა, არამედ მთლიანად ევროპის ლიგის მოგებაც: „ევროპის ლიგას ძალიან სერიოზულად ვუყურებთ და გვინდა, რომ ეს ტურნირი მოვიგოთ. ორ ფრონტზე ბრძოლა იოლი არ არის, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია“.

გიორგი მამარდაშვილით იუვენტუსი დაინტერესდა

ვალენსიის ქართველი მეკარის გიორგი მამარდაშვილის შეძენით იუვენტუსი დაინტერესდა და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამარდაშვილი შესაძლოა უკვე მომავალ სეზონში ტურინულ გუნდში აღმოჩნდეს. სეზონის ბოლოს იუვენტუსს, დიდი ალბათობით, ვოიცეკ შესნი დატოვებს და ტურინელები უკვე აქტიურად ეძებენ მის შემცვლელს. მამარდაშვილი ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მამაკაცს ავტოგასამართ სადგურზე სადილობის სურვილმა მოგება მოუტანა

ამერიკის კენტუკის შტატის ქალაქ ჯორჯთაუნის მკვიდრმა ავტოგასამართ სადგურზე საუზმის შესაძენად შეიარა და გამდიდრდა.

სამსახურში ღამის სმენის შემდეგ გერი ჰილმა გადაწყვიტა ავტოგასამართ სადგურზე შეევლო, რათა მანქანა საწვავით შეევსო და ესადილა. სადილთან ერთად მან მომენტალური ლატარიის ბილეთიც შეიძინა.

ჰილმა მაშინვე გადაფხიკა ბილეთზე დამცავი ფენა და ნახა, რომ 50 ათასი დოლარი მოიგო.

– ბილეთი გამყიდველს მივუტანე, მის გადასამოწმებლად. მან მითხრა, რომ ჩემი მოგებული თანხა აღემატებოდა იმ თანხას, რომლის მიღება მე ადგილზევე შემეძლო და ამიტომ ლუისვილში უნდა ჩავსულიყავი მოგებული თანხის მისაღებად. ამ მოულოდნელობისგან მადაც კი დამეკარგა და სადილის მშვიდად შეჭმა ვერც კი შევძელი, – აღიარა ჰილმა.

ამერიკელის თქმით, აღნიშნული მოგება, რა თქმა უნდა, მის ცხოვრებას რადიკალურად ვერ შეცვლის, თუმცა ფინანსური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

16 მარტისათვის

ვერძი – ნაყოფიერ მუშაობაში ხელს შურიანები და არაკეთილმოსურნეები შეგიშლიან. ფინანსური მდგომარეობა არასახარბიელოა. **კურო** – გეგმები გულმოდგინედ შეიმუშავეთ. სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. **გაერთები** – კომერციული ოპერაციებისათვის კეთილისმყოფელი დღეა. კოლექტიური მუშაობა შემოსავლის გაზრდის გარანტიაა. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი არეალის გაფართოებაზე ნუ იფიქრებთ. პირად ცხოვრებაზე იზრუნეთ. **ლომი** – ნებისმიერ ერთობლივ პროექტზე მუშაობისას ყურადღებით იყავით. დიდია მოტყუების ალბათობა. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან კონფლიქტია მოსალოდნელი. გაღიზიანებული ხართ. ნუ იჯიუტებთ. **სასწორი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. იყავით გულწრფელი და კეთილგანწყობილი. პოზიტივი გადამდებია. **ღრიანცელი** – სიტუაცია თქვენთვის სასარგებლო მიმართულებას მიიღებს. დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** – ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისას წინდახედულობა გმართებთ. მეგობრის რჩევა ძალზე წაგადგებათ. **თხის რქა** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას უფრო მოქნილი და შორსმჭვრეტელი უნდა იყოთ. დღეს დაშვებული შეცდომა თქვენს სამომავლო გეგმებზეც აისახება. **მერწყული** – ერიდეთ აგრესიულ გარემოს. მოულოდნელი ინფორმაცია მოვლენებს დააჩქარებს. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ, თუმცა სასურველ მიზანს მაინც მიაღწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ქმარი სამზარეულოში ზის, სიგარეტს აბოლებს და ფიქრობს. ცოლი ეკითხება:

– რაზე ფიქრობ?

– ისე, ჩემსაზე...

– გერჩივნა, ჩემსაზე გეფიქრა!!!

•••

უფროსი ხელქვეითს ეკითხება:

– ვინ უფრო სულელია, მე თუ შენ?

– ბატონო, ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულელებს სამუშაოზე არ იღებთ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, ყოველ დილით ჩემი მეგობარი მამაკაცის კოცნა მაღვიძებს.

– მართლა?

– ჰო, ის ნაზად მკოცნის ტუჩებში, ლოყაზე, შუბლზე.

– ვაი, რა საყვარელია და მერე?

– მერე მეკითხება, უმშვენიერეს პრინცესად რატომ არ გადაიქცევი?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს განუცხადებია, რომ მანამდე არ დატოვებს თანამდებობას, სანამ ჩვენ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატს არ მოაგებინებს.

– რა, სიცოცხლის ბოლომდე გაუფორმეს კონტრაქტი?

•••

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

– რატომ ღრიალებს თქვენი ბავშვი? რა უნდა?

– ღრიალი უნდა!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– პრემიერ-მინისტრის საახალწლო მიმართვას უყურე?

– არა, და ვის მიმართა?

•••

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– როგორ ჩაიარა ახალი წლის ღამემ?

– არ ვიცი, ჯერ არ მოუყოლიათ...

•••

მეზობელი მეზობელს ეუბნება:

– ეს ახალი წელი ჩემი სიდედრივითაა.

– ეგ როგორ?

– გინდა, დახვდი, გინდა, ნუ დახვდები, მაინც მოდის!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნუცა ბუზალაძემ ნატალია ვოდიანოვას საღამოზე იმღერა

ქართველმა მომღერალმა ნუცა ბუზალაძემ მონაწილეობა მიიღო მსოფლიოში ცნობილი მოდელის ნატალია ვოდიანოვას მიერ გამართულ ვახშამზე.

„უდაბნოს ვარდი“ – ასე ეწოდებოდა საღამოს, რომელიც დუბაიში გაიმართა.

ნატალია ვოდიანოვა ცნობილია საქველმოქმედო საქმიანობით. იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას სტუმრობს, საქველმოქმედო ვახშამსა და საღამოებს მართავს და ათასობით გაჭირვებულს ეხმარება. ნუცა ბუზალაძე მოდელის ერთ-ერთ ღონისძიებას დუბაიში შეუერთდა და თავისი სიმღერით შეკრებილი საზოგადოება აღაფრთოვანა.

„მგზავრები“ ევროპის ქვეყნებში გასტროლებზე მიემგზავრება

ჯგუფი „მგზავრები“ ევროპის 6 ქვეყანაში კონცერტებს გამართავს.

პირველი კონცერტი ისრაელის ქალაქ თელ ავივში ჩატარდება. 17 მარტს ჯგუფი კვიპროსს ეწვევა, სადაც ქალაქ ლიმასოლში ევროპული ტურნესთვის შერჩეული პროგრამით წარდგება. 19 მარტს „მგზავრებს“ სერბეთის ქალაქ ბელგრადში ელოდებიან, 21 მარტს ჯგუფი მონტენეგროს ქალაქ ბუდვას ეწვევა, 23 მარტს ქართული სიმღერა საფრანგეთის ქალაქ პარიზში აჟღერდება, 25 მარტს კი საგასტროლო ტურნე თურქეთის ქალაქ სტამბოლში დასრულდება.

„მგზავრებმა“ მაყურებელთან შესახვედრად განსაკუთრებული საკონცერტო პროგრამა მოამზადა. ისინი მსმენელისთვის როგორც ძველ და კარგად ნაცნობ ჰიტებს, ასევე ახალ სიმღერებსაც შეასრულებენ.

რობერტ სტურუა „მიჯაჭვულ პრომეთეს“ დგამს



რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა მაყურებელს სულ მალე პრემიერას შესთავაზებს.

21 აპრილს თეატრის დიდ სცენაზე ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“ გათამაშდება. სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი რობერტ სტურუაა, ნაწარმოების თარგმანი რობერტ სტურუასა და ნინო კანტიძეს ეკუთვნით, სცენური სივრცე – ანა ნინუასი, მერაბ მერაბიშვილისა და რობერტ სტურუასი. კოსტიუმების მხატვარი ანა ნინუაა, მუსიკალური გამფორმებლები – სვიმონ ჯანგულაშვილი და რობერტ სტურუა, ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე კი თეა მარგველაშვილია.

რეჟისორის ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, კახა კუპატაძე, მარიტა მესხორაძე, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, ეკა მინდიაშვილი, ტრისტან სარალიძე, ქეთი სვანიძე, გაგი სვანიძე, მალხაზ ქვრივიშვილი, ნატალია ყულოშვილი, ქეთი ხიტირი და ლევან ხურცია.

ანსამბლი „რუსთავი“ საქველმოქმედო კონცერტს გამართავს

13 აპრილს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდი თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში დიდ საქველმოქმედო კონცერტზე ეპატიჟება ყველას, რათა შეგროვილი თანხით ონკოლოგიური სენით დაავადებულ ბავშვებსა და მოზარდებს დაეხმაროს.

– ღონისძიება ატარებს სრულად საქველმოქმედო ხასიათს. შესაბამისად, შემოსული თანხა სრულად მოხმარდება „ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის“ ონკოლოგიური სენით დაავადებულ ბავშვებს, მოზარდებს, – ნათქვამია ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კუნგ-ფუს ოსტატი მაიმუნებს ეჩხუბა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანაში აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი ორ ტიბეტურ მაკაკას დაუპირისპირდა, რომელიც ვიდეოზე გადაიღეს და რამაც სოციალური ქსელების მომხმარებელთა აღშფოთება გამოიწვია.

მთა ემეიშანზე გადაღებული ვიდეორგოლის გმირი კუნგ-ფუს ოსტატი გვარად სე გახდა. მამაკაცი შეეცადა მის გვერდით მჯდომ ერთ-ერთ მაკაკას მოფერებოდა. თუმცა, როგორც კი ის მაიმუნს შეეხო, ცხოველი მას თავს დაესხა, რაზეც სემ მაკაკას დარტყმით უპასუხა, შემდეგ კი მოაჯირზე გადაიხარა, რათა მაიმუნისთვის კიდევ რამდენიმე დარტყმა მიეყენებინა. ამ დროს მეორე მაიმუნმა იმით ისარგებლა, რომ მამაკაცი მისკენ ზურგშექცევით იდგა და თავს დაესხა, მაგრამ კუნგ-ფუს ოსტატმა მასაც დარტყმების სერია მიაყენა.

ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელებში იქ მყოფმა ტურისტებმა გამოაქვეყნეს. სოციალური ქსელების ზოგიერთ მომხმარებელში ამ ვიდეომ აღშფოთება გამოიწვია და საკუთარ კომენტარებში დაწერეს, რომ აღნიშნულმა მამაკაცმა გარეული ცხოველებისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს. ნაწილის თქმით კი, ეს სრულიად დამსახურებული შურისძიება იყო მაიმუნებზე, რომლებიც ტურისტებზე თავდასხმებით არიან ცნობილნი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ საზოგადოებას მოუწოდა, შორს დაიჭირონ თავი მაიმუნებთან ურთიერთობისგან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 2. ჩინური ფაიფური; 3. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 4. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 5. ძველებური ფირსაკრავი; 8. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 12. ქართული ლუდი; 13. პატარა ლიტერატურული ნაწარმოები; 14. ცხარე საწებელი; 16. სახელმწიფოს ფულადი დახმარება საწარმოებს, ორგანიზაციებს; 18. ზღვის მოლუსკი, პოპულარული საკვები პროდუქტი; 20. ისტორიული ძველბერძნული სახელმწიფო მცირე აზიაში.

თარაზულად: 6. ცნობილი ქართველი ძიუდოს მსაჯი; 7. ბალერინას ძირითადი კლასიკური პოზა; 8. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 10. მდინარე გაგრაში; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. „დეკამერონის“ ავტორი; 19. თამაში-გამოცანა; 21. ნორვეგიის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 22. გერმანული ყველი; 23. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე, ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა